# ღირსეული შეხვედრა სკკპ XXII ყრილობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

№ 166 (12080)
კვირა, 23 ივლისი 1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

## კარგ შრომას — კარგი საზღაური

მესიმინდეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. მაგრამ ისეთი ყანები, როგორიც დღეს ჩვენშია, განსაკუთრებით ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, ჯერ არ ყოფილა. თვალს ახარებს ლურჯად მოლივლივე, ტანმსხვილი, დატაროიანებული, დაქოჩრილი ღეროები — ღეროები კი არა, ნამდვილი ტყე ეგონება კაცს.

შეხედავ ასლამაზის ამ ზღვას და გჯერა — მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის რჩევითა და მითითებებით შთაგონებული ქართველი გლეხობა აფასებს და ყოველმხრივ ავითარებს სიმინდს — სიუხვის დედას, ადამიანის ნამდვილ მეგობარს. მართლაც, ხომ სხვა კულტურა არ მოგვეპოვება, რომელიც ასე მდიდარი იყოს სასურსათო და საკვები თვისებებით.

— დავთესოთ უხვმოსავლიანი სამოცი ათასი ჰექტარი და მოვიყვანოთ ჰექტარზე სულ ცოტა 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, — ასეთი ამოცანა დააკისრეს საქართველოს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა.

ამ ჭეშმარიტად დიდი და საპატიო ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი სახალხო ლაშქრობა გამოაცხადეს. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში უდავოდ დიდი მუშაობაა გაწეული სიმინდის უხვი მოსავლის მოსაყვანად. დიდი სიმინდისათვის ლაშქრობის პირველი შედეგები კარგია. ბეჯითმა შრომამ, მონდომებამ ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო. მინდვრის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს საგაზაფხულო თესვა და ასევე კარგად უვლიან ნათესებს.

ქართველმა მესიმინდეებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს შვიდწლედის მესამე წლის უხვ მოსავალს. სიმინდის ბარაქიანი მოსავლის მოყვანისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ყვარლის, მარნეულის, გურჯაანის, გორის, ახმეტის, ლაგოდეხის, ხაშურის, აგრეთვე აბაშის, ხობის, ლანჩხუთის, მახარაძის, ცხაკაიასა და საქართველოს სხვა დასავლეთ რაიონებში. გულის გამხარებელია ამ რაიონების მშრომელთა ნახელავი — მუქლურჯად აბიბინებული ყანები. არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ მოიხსენიო ამ ყანების გმირები, საქმის მცოდნე, შეუპოვარი ადამიანები, რომლებიც თავს დასტრიალებენ უხვმოსავლიან ფართობებს და რომელთა სიტყვა და საქმე ერთია. გჯერათ, რომ ისინი კარგად დაწყებულ საქმეს ასევე კარგად დაამთავრებენ.

მთელმა რესპუბლიკამ შეიტყო დიდი სიმინდისათვის ბრძოლის გმირების ახალი სახელები. ესენი არიან კოსტა ჯოჯუა და ვლადიმერ მირცხულავა ხობის რაიონში, კოტე სანდუხაძე და შოთა მაქაცარია ზუგდიდის რაიონში, ტანგირ იუსუბოვი და აივაზ ჰასანოვი მარნეულის რაიონში, ვალერიან ტერმაკოზაშვილი და ამირან დემეტრაშვილი გორის რაიონში, ნათელა გიგოლაშვილი და მიხეილ გურაბანიძე ყვარლის რაიონში, დავით მღებრიშვილი და ზაქარია არჩევნიშვილი გურჯაანის რაიონში და მრავალი სხვა. ყველა მათგანის მისწრაფებაა სიმინდის უხვი მოსავლის მიღებით შეეგებონ პარტიის XXII ყრილობას.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობამ წარმოშვა ლანჩხუთელთა შესანიშნავი თაოსნობა, რაც ითვალისწინებს უხვმოსავლიანი ფართობების გაზრდას. 60.000 უხვმოსავლიანი ჰექტარის ანგარიშში ლანჩხუთის რაიონს წელს სამოცსამოცი ცენტნერი უნდა მიეღო 1.600 ჰექტარ ფართობზე. სიმინდის სხვა ფართობებზე ნათესების საუკეთესო მოვლა-დამუშავებამ ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებს საშუალება მისცა 1.000 ჰექტარით გაეზარდათ უხვმოსავლიანი ფართობები. ლანჩხუთელთა პატრიოტულმა თაოსნობამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკის ბევრ რაიონში. ლანჩხუთელთა თაოსნობას ერთ-ერთმა პირველმა მხარი დაუჭირეს სამტრედიის, ქარელის, ხობის, ჩოხატაურის რაიონების მშრომელებმა.

ლანჩხუთელთა თაოსნობის საყოველთაო მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს რესპუბლიკაში სიმინდის წარმოების გადიდებისათვის, მით უმეტეს, რომ კახეთის ზოგიერთ რაიონში ამ ძვირფასი კულტურის ნათესები ხანგრძლივმა გვალვამ მნიშვნელოვნად დააზიანა.

ცხარე დღეები აქვს ახლა სოფლის ყველა მშრომელს, უხვი მოსავლისათვის ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებიან მესიმინდეები, რომლებსაც თავიანთი ღირსების საქმედ მიაჩნიათ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოსავალი უკვე ბეღელშია. მოსავლის ბედი სწორედ ახლა წყდება. იმაზე, თუ როგორ მოვუვლით ნათესებს, დავიცავთ მოსავალს დატაცებისაგან, ყოველმხრივ მოვამზადებთ საწყობებს უხვი მოსავლის დასაბინავებლად, შემჭიდროებულ ვადებში ავიღებთ მოსავალს, დიდად არის დამოკიდებული მოსავლის ბედი. მოსავალი კი წელს უნდა იყოს ნამდვილად უხვი, საამაყო.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ყოველი მშრომელის პატივისა და ღირსების საქმეა მოვიგოთ ლაშქრობა უხვმოსავლიან 60.000 ჰექტარზე სულ ცოტა 22 მილიონი ფუთი სიმინდის მარცვლის მოსაყვანად, სახელმწიფოს ბეღელში შევიტანოთ 10 მილიონი ფუთი მარცვალი.

დიდი სიმინდისათვის ლაშქრობის მოგება შეუძლებელია, თუ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი სწორად არ განვახორციელეთ. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ მატერიალური დაინტერესების საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ კოლმეურნემ და საბჭოთა მეურნეობის მუშამ მიიღოს თავისი შრომის ანაზღაურება პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ეს უნდა იყოს ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის გარდუვალი კანონი.

„კარგია შექო კაცი. — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — ეს დიდი მორალური მხარდაჭერაა, მაგრამ, თუ ამასთან ერთად კოლმეურნე, ბრიგადირი, მეგოლური საუკეთესო შრომისათვის საუკეთესო ანაზღაურებას მიიღებს, მაშინ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში წარმატება უზრუნველყოფილი იქნება“.

მატერიალური დაინტერესება სტიმულს აძლევს კოლმეურნეებს სულ სხვანაირი დამოკიდებულება გამოიჩინონ საზოგადოებრივი მეურნეობისადმი ახლა ისინი ცდილობენ აწარმოონ რაც შეიძლება მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია. ასეა სიმინდის წარმოების მხრივაც.

რაც უფრო კარგად შრომობს ადამიანი, მით უფრო დიდი უნდა იყოს მისი რეალური ხელფასი. რესპუბლიკის ბევრ მოწინავე მეურნეობაში გონივრულად იყენებენ მატერიალური დაინტერესების პრინციპს: სიმინდის მოსავლიანობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეები დამატებით იღებენ ანაზღაურების სახით სიმინდს ამა თუ იმ რაოდენობით.

თუ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური წახალისების წესი განუხრელად არ იქნა გამოყენებული, მაშინ ზედმეტია ფიქრი განზრახული მოსავლის მიღებაზე. ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, ისე ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ სახელი არ გავუტეხოთ ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, როგორიც არის შრომის დამატებითი ანაზღაურება. გლეხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებისათვის კუთვნილი ანაზღაურება მიიღოს გინდ ნატურით, გინდ ფულით.

შრომის დამატებითი ანაზღაურება მშრომელთა აქტივობის ზრდის მნიშვნელოვანი სტიმულია. მისი ძალა ის არის, რომ იგი სწორად ახამებს არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდის ინტერესებს. და ეს ძალა სწორად და მოფიქრებულად უნდა გამოვიყენოთ, ჩავაყენოთ იგი სიმინდის უხვი მოსავლისათვის გაჩაღებული ბრძოლის სამსახურში. იქ, სადაც ამას არ აფასებენ, შეიძლება საბოლოო ანგარიშით დააკლდეთ მოსავალი. იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ადგილებზე დააინტერესონ ადამიანები მათი მუშაობის შედეგებით, ბევრად არის დამოკიდებული დიდი სიმინდისათვის ბრძოლის წარმატება.

ქართულ მიწას ჯერ არ ახსოვს „მინდვრის დედოფლისადმი“ ასეთი პატივისცემა. ეს შედეგია იმ ადამიანების შემოქმედებითი შრომისა, რომლებმაც ამ გაზაფხულს ჩვენს ეროვნულ დღესასწაულზე ჩამოსულ ძვირფას სტუმარს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს პირობა მისცეს ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას უპატაკონ: არის 60.000 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი!

## პიონერული ზაფხული

ზაფხული! რაოდენ დიდი სიხარულის მომტანია ადამიანისათვის წელიწადის ეს დრო. ხარობს, ზეიმობს ბუნება, ბუნება და ადამიანი. ხან ლურჯი, კამკამა ცა და მცხუნვარე მზე, ხანაც ხანმოკლე შხაპუნა წვიმა, მიწას გახურებულ გულს რომ უგრილებს. ყანები და მინდვრები, მთები და მდინარეები, ტყეები და ზღვა უხმობს კაცს. ყველგან ღიაა ბუნების კარი, ყველგან პოულობს ადამიანი შრომის შემდეგ დასვენების ადგილს.

რა შეედრება იმ სიხარულს, რასაც ზაფხული ანიჭებს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას. მან სკოლაში ცხრა თვის დაძაბული შრომისა და სწავლის შემდეგ მოიპოვა იმის უფლება, რომ ნანატრი ზაფხულის ორი თვე ლაღად გაატაროს. ეზიარება იგი ბუნების სილამაზეს, მცხუნვარე მზის ქვეშ, სუფთა ჰაერზე, მთაში თუ ზღვაზე იკაჟებს სხეულს, აღიდგენს ენერგიას.

განსაკუთრებული სიცოცხლით ივსება პიონერული ზაფხული, როცა ველ-მინდვრებს მოედებიან ბედნიერი ბავშვები, იღვიძებენ მთები და ველები პიონერული საყვირის ხმაზე, მხიარული ჟივილ-ხივილი ეფინება არემარეს.

პიონერული ზაფხული, და ისიც ჩვენს მზიურ, ზღაპრულად ლამაზ, ბუნების ფერებით დამშვენებულ საქართველოში! ყოველგვარი პირობა გვაქვს საუკეთესოდ მოვაწყოთ ბავშვთა დასვენება საზაფხულო არდადეგების პერიოდში. პიონერთა რესპუბლიკურ ბანაკებში, საექსკურსიო ტურისტულ ბაზებში, გამაჯანსაღებელ მოედნებზე გატარდა და გატარებულ იქნება 114.570 ბავშვი. მარტო 80 საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ბანაკებში 3.000 ბავშვი ისვენებს. რესპუბლიკაში 13 საქალაქო ქვებითი ბანაკია, რომელმაც საზაფხულო არდადეგების პერიოდში 2.500 ბავშვი უნდა გაატაროს.

ჩვენში დამკვიდრდა თქმა: საზაფხულო დასვენება სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაგრძელებაა. ეს ასეც არის. დასვენება როდი ნიშნავს მხართეძოზე წამოწოლას, უსაქმურობას. ადამიანი და მით უფრო ბავშვი შრომაში, მოძრაობასა და საქმიანობაში ისვენებს. ოღონდ ეს შრომა, მოძრაობა, საქმიანობა გონივრულად მოფიქრებული და დაგეგმილი უნდა იყოს. ყოველი ღონისძიება, რაც კი პიონერთა ბანაკებში ხორციელდება, ხელს უნდა უწყობდეს ბავშვთა გაჯანსაღებასთან ერთად მათს ფიზიკურ მომზადებას, სხეულის გაკაჟებას, შრომისადმი მიდრეკილების აღზრდას.

უდიდეს ინტერესს იჩენენ პიონერები და მოსწავლეები ექსკურსიების, კოლექტიური სვლების, ტურისტული მოგზაურობის მიმართ. ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი მათ ამ საქმეში. საექსკურსიო-ტურისტულ ბანაკებში 25 ათასმა ბავშვმა უნდა გაიაროს. დაე იმოგზაურონ ბავშვებმა, შეისწავლონ მშობლიური მხარე, გაეცნონ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, დაათვალიერონ ჩვენი ინდუსტრიული ქალაქები, მარადმწვანე საბჭოთა მეურნეობები, ავიდნენ მთებზეც, ისწავლონ ცურვაც, ალპინიზმიც, გაიკაჟონ კუნთები. სიფრთხილე, და მეტად სერიოზული სიფრთხილეც ბავშვების მიმართ როდი ნიშნავს, რომ ისინი სათოფეზე არ მივაკაროთ მდინარეს, ავუკრძალოთ მთაზე ასვლა და სიმაღლეების დაპყრობა, სირბილი და ბურთაობა. დაე ახლანდელ ასაკში ისწავლონ მათ ის, რაც მერე მთელ სიცოცხლეში საჭიროების დროს გამოადგებათ. ბავშვისათვის ყოველი დღე ახალი აღმოჩენაა, ახლის შეცნობაა.

სკოლის მერხებს მოცილება ზაფხულის პერიოდში არ ნიშნავს წიგნების დახურვას, კალმის დაჟანგვას, თვითმოქმედების მოდუნებას. არა თუ პიონერთა ბანაკებში, სადაც თავმოყრილია ბავშვები და დასვენებაც რეჟიმულად არის ორგანიზებული, არამედ თვით სოფლებსა და ქალაქებში დარჩენილ ბავშვთა შორისაც არ უნდა შევანელოთ თვითმოქმედებისადმი მათი ინტერესი. როგორ იქნება ბავშვთა კოლექტივებმა თითოეროლა ახალი სიმღერა, ახალი ცეკვა, ახალი წარმოდგენა არ მოიტანონ საზაფხულო არდადეგებიდან სკოლებში. საინტერესო კითხვა, საუბრები, პოპულარული ლექციები შეუცნობელ სამყაროზე, კარგად ორგანიზებული განხილვა წაკითხულისა გაამდიდრებს ბავშვის ცოდნას, ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ შეიძლება მისი გონების გადატვირთვა. აქ უფროს პიონერხელმძღვანელებს, კომკავშირელებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ.

უაღრესად კეთილშობილური და საპატიო საქმეა მოზრდილი ადამიანისათვის პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მუშაობა. ყოველ მათგანს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვის უკან დგას მზრუნველი მშობელი, მთელი ხალხი, სახელმწიფო, რომლებიც მას თვალის ჩინად თვლიან. პარტია და მთავრობა ყოველმხრივ ზრუნავენ იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად იცხოვრონ, კარგად დაისვენონ, არ ზოგავენ ამისათვის ხარჯებს. სახელმწიფოს ასეთი მშობლიური ზრუნვის პირობებში ჩვენს ბავშვებს, ცხადია, არაფერი არ უნდა დააკლდეს, რაც კი სასწავლო წლის პერიოდში დახარჯული ენერგიის აღდგენას, გამოჯანსაღებას სჭირდება.

პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის უნდა იყვნენ დაინტერესებული პიონერთა ბანაკების ცხოვრებით, მდგომარეობით. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები უნდა აკითხავდნენ ბავშვებს იქ, სადაც მძლავრად ჩქეფს მათი საზაფხულო ცხოვრება.

ჩვენს ნორჩ თაობას ყველაფერს საუკეთესოს და ლამაზს აძლევს ჩვენი დედა-სამშობლო, ბავშვისთვის ზრუნავს დაბადების დღიდანვე, რომ გახდეს ბედნიერი ადამიანი.

პიონერული ზაფხული! — ლაღი, მხიარული, ბედნიერი ზაფხული!

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი ერთ თვეზე მეტი დრო — — უფრო ხალისიანი, შინაარსიანი, ბავშვთა გამაჯანსაღებელი, ახალი შრომითი და სასწავლო საქმეებისათვის მათი დამრაზმავი უნდა გავხადოთ,



ძმები ზურაბ და ელგუჯა შუბითიძეები ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმინდის უხვი მოსავლისათვის. (ლაგოდეხის რაიონი, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“). მოსავალს კარგი პირი უჩანს. ვნახოთ ვინ აჯობებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## ამბები, ფაქტები, ცნობები

### გულთბილი მილოცვები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღის — 23 ივლისის რევოლუციის დღის გამო.

განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავ, ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშაში, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო, კვლავ წარმატებით ვითარდება, ნათელი მაგალითია სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისა, რასაც საფუძვლად უდევს თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. ერთობლივი ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისათვის, კოლონიალიზმისა და ყველა მისი ფორმისა და გამოვლინების რაც შეიძლება მალე ლიკვიდაციისათვის რაზმავს ჩვენი ქვეყნების ხალხებს, რომლებსაც აერთიანებს საერთო მისწრაფება — შემოქმედებითად იშრომონ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პირობებში.

### შორეული კვიპროსიდან...

საქართველოში სტუმრად არის კვიპროსის ვაჭრობის დარგის მოსამსახურეთა პროფკავშირის დელეგაცია, რომელსაც ბ-ნი ხაჯიკრისტუ ხელმძღვანელობს.

22 ივლისს მოეწყო სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის აქტივის შეხვედრა სტუმრებთან. დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა ხაჯიკრისტუმ განაცხადა, მოსკოვის, ლენინგრადის, ოდესის, რიგისა და საქართველოს ნახვამ დაგვარწმუნა მე და ჩემი თანამგზავრები, რომ საბჭოთა ხალხს უდიდესი პროგრესისათვის მიუღწევია ცხოვრების ყველა დარგში.

ქართული ფილმის სტუდიაში სტუმრებს უჩვენეს ახალი დოკუმენტური ფილმი „მშობლიური საქართველო“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. დელეგაცია იყო გორში ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში. (საქინფორმი).

### ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა იბრაჰიმ აბუდს

ადლერი, 22 ივლისი. (საქინფორმი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებს, დღეს ადლერის აეროდრომზე შეხვდა სუდანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს იბრაჰიმ აბუდს.

### შენთვის სამშობლოვ!

ჭიათურა, 22 ივლისი. (საქინფორმი). დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, ვადამდე შეასრულა შვიდი თვის დავალება და ათასობით ტონა მადანი ამოიღო აგვისტოს დავალების ანგარიშში.

ტყიბული, 22 ივლისი. (საქინფორმი). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა 21 ივლისს შეასრულა სათბობის ამოღების შვიდი თვის პროგრამა. შახტის კოლექტივმა, იკისრა 22 ეშელონი ქვანახშირი მისცეს სამშობლოს თვის დამლევამდე.

## 165.000 ტონა ჩაისთვის!

### ბრიგადის წარმატება

გალი. (საკ. კორ.). პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სულ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს სოფელ დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის მეჩაიეები.

აქ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მეორე ბრიგადამ, რომელსაც იპოლიტე ბერაია ხელმძღვანელობს. ბრიგადის მეჩაიეებმა უკვე წარმატებით გაანაღდეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და ნავარაუდევი 38 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 43 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ბრიგადის წევრებმა ახალი ვალდებულება იკისრეს — სეზონის ბოლომდე მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 65 ტონა ნედლეული ნაცვლად ადრე ნაკისრი 45 ტონისა.

ჩაის კრეფაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ მეჩაიეები ნიურა მარღანია, ჭუტა ცანავა, ციალა ცაავა და სხვები.

## ბრძანებულება
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შექმნის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოს აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 22 ივლისი.

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლი) გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა სახალხო-სამეურნეო ამოცანები და საჭიროა გაძლიერდეს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება თავიდან ბოლომდე, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია გარდაიქმნას სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლი).

აღიარებულ იქნეს საჭიროდ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიები გარდაიქმნას მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოებად — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სახელმწიფო კონტროლის კომისიებად.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას დაეკისროს: შეამოწმოს მთავრობის სახელით სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მთავრობის გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის დაცვა ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში და მათ შენახვაში; შეამოწმოს როგორ სრულდება საერთო საკავშირო ფონდში მასალების, მოწყობილობის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მიწოდებისა და სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავრობის მიერ დაწესებული გეგმები; კონტროლი გაუწიოს აღრიცხვისა და სახელმწიფო ანგარიშგების მდგომარეობას; აღმოფხვრას წამატებანი სახელმწიფო ანგარიშგებაში, მოტყუება და თვალის ახვევა, აგრეთვე აწარმოოს ბრძოლა კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ; შეამოწმოს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა მართვის სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის და ამ აპარატის შესანახავი ხარჯების შემცირებისათვის.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია და მისი ადგილობრივი ორგანოები თავიანთ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით, ეყრდნობიან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საზოგადოებრივ კონტროლს, ფართოდ აბამენ შემოწმებაში მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს.

4. დაწესდეს, რომ სახელმწიფო კონტროლის ორგანოების შესანახავად იხარჯება საკავშირო ბიუჯეტის თანხები.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილოს და დაამტკიცოს დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 22 ივლისი.

## ბრძოლები ბიზერტაში

ტუნისი, 22 ივლისი. (საქინფორმი). ინფორმაციის საკითხთა სტატს-სამდივნოს ცნობებში ბიზერტაში წარმოებული ბრძოლების შესახებ, რომლებიც დაახლოებით შუაღამისას გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ყველაზე სასტიკი შეტაკებანი მიმდინარეობდა გუბერნატორის სახლისა და ფოსტისა და ტელეგრაფის შენობის გარშემო, აგრეთვე ყაზარმების რაიონში. ტუნისის სააგენტომ აფრიკა პრესმა დღეს დილით გამოაქვეყნა ცნობა, რომ ღამის განმავლობაში გუბერნატორის სახლი ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. ცნობის გამოქვეყნების მომენტში იგი ტუნისის ჯარების ხელში იყო, რომელნიც იგერიებდნენ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მესამე ცდას — ხელში ჩაეგდო ეს შენობა.

ლონდონი, 22 ივლისი. (საქინფორმი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბიზერტიდან იუწყება, დღეს ფრანგი პარაშუტისტები სროლას აწარმოებდნენ ტუნისის არმიის ქვედანაყოფებთან, რომლებიც გამაგრებული არიან სახლებსა და მთებში ქალაქ ბიზერტის გარშემო.

ტუნისის ჯარები თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ ბიზერტის არაბთა უბანში.

ქალაქი კვლავ უელექტროობოდ და უწყლოდ არის.

დრო და დრო გაისმის გრანატების აფეთქება.



ფრანგული მამლის ოინები.

ნახატი გ. ლომიძისა.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### ენგურჰესის მშენებლობას ავტოტრანსპორტი აფერხებს

დღითიდღე ფართოვდება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ჰესის — ენგურჰესის მშენებლობა. მშენებლებს მუშახელის ნაკლებობის გამო შეფერხებები რომ არ ჰქონდეთ, რესპუბლიკის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ინიციატივით ეს მშენებლობა კომკავშირულ მშენებლობად გამოცხადდა.

დღეისათვის მიმდინარეობს სამუშაო ფრონტის მომზადება. გაჰყავთ გზები. უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში მშენებლებს შეფერხებები აქვთ. მშენებლობასთან არსებული ავტოსატრანსპორტო კანტორა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მშენებლობის მოთხოვნილებას ავტოტრანსპორტზე. „საქჰიდროენერგომშენის“ მოთხოვნით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დაავალა ზუგდიდის, გალისა და ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორებს ჰესის მშენებლობაზე წელს მიზიდონ ნახევარი მილიონი ტონა ტვირთი.

„კომუნისტში“ 28 ივნისს გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის სპეციალური საკორესპონდენტო პუნქტის მიერ გამოგზავნილი წერილი და რედაქციის შენიშვნა, სადაც საქართველოს სსრ საავტომობილო სამინისტრო მესამე საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. დავითაია მშენებლებს ჰპირდებოდა, რომ მდგომარეობა გამოსწორდებოდა.

წერილის გამოქვეყნებიდან ნახევარ თვეზე მეტი გავიდა. რედაქცია დაინტერესდა, თუ როგორ შეასრულეს ეს დაპირება ავტოტრანსპორტელებმა. ჩვენი კორესპონდენტი დაუკავშირდა ენგურჰესმშენის მთავარ ინჟინერს ნ. ემუხვარს, რომელმაც რედაქციას აცნობა, რომ ზუგდიდის, გალისა და ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორებს მეორე კვარტალში ჰესის მშენებლობაზე უნდა მიეზიდათ 54 ათასი ტონა ტვირთი. 15 ივლისისათვის ეს გეგმა არ შესრულებულა. ავტოსატრანსპორტო კანტორები ხელშეკრულებებსაც არ აფორმებენ მშენებლებთან იმ მოტივით, რომ თვითსაცლელი ავტომანქანები არ ჰყოფნით.

ეს მდგომარეობა ჩვენმა კორესპონდენტმა გააცნო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს.

მინისტრმა ამხ. თ. დავითაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, მართალია, ქუთაისის, ზუგდიდისა და გალის ავტოსატრანსპორტო კანტორებმა მეორე კვარტალში ენგურჰესის მშენებლების დავალება ვერ შეასრულეს. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ჰესის მშენებლობასთან არსებული ავტოსატრანსპორტო პარკი მაქსიმალურად არ არის გამოყენებული.

თუ მშენებლები თავის მხრივ მოგვცემენ სამუშაოს, ჩვენ მესამე და მეორე კვარტალის დავალებებს ვადამდე შევასრულებთ. ამ სამუშაოს შესრულება დავალებული აქვს ქუთაისის ავტოსატრანსპორტო სამმართველოს (მმართველი შ. ფრუიძე).

ვნახოთ, როგორ შესრულდება ეს დაპირება.

# გმირობისა და ვაჟკაცობის მგოსანი

პატივცემულო რედაქტორო!

მე დავწერე პატარა სტატია მამაცობისა და გმირობის ამ უბადლო მგოსანზე, რომლის იუბილეს აღნიშნავენ არა მარტო ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არამედ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩემი სტატია გამოქვეყნდება თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე ყველა ჩვენგანისათვის გულითადად საყვარელი პოეტისადმი მიძღვნილ დღეებში.

ღრმა პატივისცემით ნ. ტიხონოვი.

* * *

**ნიკოლოზ ტიხონოვი**

✦

მაშინ, როცა საქართველოში აღნიშნავენ ვაჟა-ფშაველას დაბადების მესი წლისთავს, ბევრნი გულისთქმით გაემგზავრებიან ფშავში, რომ მოინახულონ ჩარგალი — წმიდა ადგილი, სადაც დაიბადა მთებისა და დიდებული გმირობის დიდი მგოსანი, რომლის სახელი ყოფაცხოვრებაში ლუკა რაზიკაშვილი იყო.

ჩარგალი შთაგონების სამშობლოა! იქით ახლა მიდის არა მთის ვიწრო ბილიკი, არამედ ფართო გზა, რომლითაც იქ ჩადიან პოეზიის მოყვარულნი, რომ ისუნთქონ ერთ-ერთი ყველაზე რომანტიული ხეობის ჰაერი, იგრძნონ თავი იმ ბუნების წიაღში, რომელშიც ვაჟა ბავშვობიდან იზრდებოდა, მერე კი სამუდამოდ აღბეჭდა თავის ლექსებსა და პოემებში.

ჩარგლის გზა-სავალი პოეტური შთაბეჭდილებებით არის აღსავსე. მგზავრი დატოვებს საქართველოს სამხედრო გზას, ანანურის ხეობას, გადავა ჟინვალის ხიდს და გაემართება ფშავის არაგვის სათავისაკენ. მგზავრს თვალწინ გადაეშლება მწვანე სამყარო.

სიჩუმე და მყუდროება სუფევს ხეობაში. და ამ სრულ სიჩუმეში ისეთ ადგილს მიადგებით, სადაც მდინარისკენ უნდა დაეშვათ, გახვიდეთ ბონდზე და წინ დაგიდგებათ მთებით გარშემორტყმული ძველი პატარა სახლი. სწორედ ეს გახლავთ პოეტის ბინა, უბრალო, განმარტოებული.

უნებლიეთ გაგონდება სხვა სახლი, უფრო სწორად ნამჯის სახურავიანი თიხატკეპნილი ქოხი, რომელსაც ფანჯრის მაგიერ სარკმელად სქელი მინა აქვს დატანებული. ამ სახლის პერქვეშ შორეულ შოტლანდიაში დაიბადა რობერტ ბერნსი. მაგრამ ბერნსის სახლი არა ჰგავს ფშაურ ბინას, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველას ზვიადი პოეზია არა ჰგავს რობერტ ბერნსის ხალისიან, მსუბუქი მხიარულებით აღსავსე შემოქმედებას.

ფშაველასა და ბერნსს მხოლოდ ის ანათესავებს, რომ ორივე დაკავშირებულია ხალხთან, ორივეს სიმღერის სათავე ხალხური შემოქმედების მდიდარი შრეების სიღრმეშია. ორივენი ხალხიდან გამოვიდნენ და შექმნეს ნაწარმოებები, რომლებიც თანამედროვეებს გარდა მკითხველთა მრავალი თაობის კუთვნილება გახდნენ არა მარტო საქართველოში და შოტლანდიაში.

მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭომ დიდი ფშაველის სახელი სავსებით სამართლიანად შეიტანა იმ ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეთა სიაში, რომელთა სახელებსაც პატივს სცემს მთელი პროგრესული კაცობრიობა. ცოტა ხნის წინ ამავე სიას რობერტ ბერნსის სახელი ამშვენებდა.

ვაჟა-ფშაველა ქართული პოეზიის სიამაყეა. მან შექმნა ოცდათექვსმეტი პოემა, ოთხასი ლექსი, მოთხრობები, ნარკვევები, სტატიები, დრამები.

ჩარგალში, მშფოთვარე ჩარგლულას პირას გაატარა თავისი სიცოცხლე ლეგენდარულმა, საოცარმა ადამიანმა, რომელმაც მთების პოეზიაში მანამდე არნახული პოეტური სამყარო შექმნა.

მთები ყოველი მხრიდან გარს ერტყა პოეტს! დაბადებიდან მთები შეჰყურებდნენ. ის მთები იყვნენ პოეტის შთაგონების, სიხარულისა და გაჭირვების თანამგზავრნი.

ამ მთებში გლეხივით ცხოვრობდა ვაჟა, დაუღალავად ხნავდა და თესავდა, როგორც ყველა მთიელი; პირუტყვს აძოვებდა სურნელოვან მდელოებზე, ძველ ფრიალო კლდეებს შუა, სადაც ყინულოვანი წყაროებია, ხეებს ჩეხდა უფსკრულის პირას. ნადირობისას დაღლა არ იცოდა, თავს ესხმოდა ციცაბოებს, ჩადიოდა აქა-იქ ყინჩად ნაღრანტ შალდაყიან ხევებში, მიდიოდა ქარაფებზე, მისდევდა ჯიხვებს და თავს ზემოთ არწივების ფრთების შრიალი ესმოდა.

ხატობაზე, ადგილობრივი წმინდანის დღესასწაულზე, იგი იდგა სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსულ მთიელებთან ერთად. კლავდნენ ცხვრებს, მღეროდნენ, შემდეგ ცეკვავდნენ, წრედ სხდებოდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ ძველ ამბებს და მამა-პაპათა საქმეებს. თუ ჩხუბი ატყდებოდა, იგი მოჩხუბართ აშველებდა. თავისი მძლავრი ხელით შეეძლო გაქცეული ხარი დაეოკებინა. მას ყველა იცნობდა, ყველა სიხარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა როგორც ბრძენს, რჩეულს, სამართლიანს, ყველა მათგანსავით ღატაკს.

ხალხთან ერთად სვამდა იგი შესანდობარს, სვამდა მოსავლის, მეგობრის სადღეგრძელოს. იგი ესროდა ნიშანში, ტიროდა ქელეხში, მხიარულობდა ქორწილში. თავისუფალ დროს მის სახლში იკრიბებოდნენ და იგი კითხულობდა ლექსებს, მღეროდა გმირების ამბებს.

ვაჟას სუფთა სინდისი ჰქონდა ადამიანთა წინაშე, სამშობლოს წინაშე.

> ქვეყნის სარგოდა ფიქრით
> გამსჭვალულს,
> ავი მე არა ჩამიდენია;

ასე ამბობს იგი მგოსნის ნუგეშად ნათქვამ ლექსში, ცხოვრება კი სწორედ უსამართლობითა და ბოროტებით იყო აღსავსე. მაგრამ მთები, მშობლიური მთები...

> მოგესალმებით, ქედებო,
> მომაქვს სალამი გვიანი,
> ჩემსამც სამარეს ამკობენ
> თქვენი დეკა და ღვიანი!
> თქვენგანა გულობს ეს გული,
> შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.

თქვენი მიწოვაგ მეც ძუძუ
ღალიან-ბარაქიანი.

მან თვითონ გამოჰყო თავისი ხუთი პოემა როგორც უმთავრესი. ესენია „სტუმარ-მასპინძელი", „გველისმჭამელი", „ალუდა ქეთელაური", „ბახტრიონი", „გოგოთურ და აფშინა". ეს არის პოემები მამაც და ქველ ადამიანებზე.

ამ პოემებს საფუძვლად უდევს ხალხური თქმულებანი, მაგრამ ისინი გადამდნარი და გადადუღებულია „საკუთარ სულიერ ქურაში", როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა, ძალიან არიან სახეშეცვლილი. დაემატა სიუჟეტის ახალი განვითარება, გმირთა ახალი ხასიათები და ისინი უფრო ვრცელი და მრავალსახოვანი გახდნენ. ეს გმირები ძველ დროში მოქმედებდნენ, მაგრამ ამ გმირთა ქცევაში ვხედავთ მაღალი ჰუმანიზმის გამოხატულებას, თავისუფლების ძიებას, ადამიანური სამართლიანობის, მეგობრობის ზეიმს, პროტესტს შავბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ, რომლებიც იმონებენ ადამიანს, უდუნებენ სულს და უბორკავენ თავისუფალ აზრს.

ეს გმირები მოგვიწოდებენ ახალი გმირობისაკენ ადამიანის თავისუფალი სულისათვის, ხალხთა მეგობრობის გამარჯვებისათვის, უმაღლესი სიმართლისა და კეთილისადმი სამსახურისათვის.

ეს გმირები იცავენ სამშობლოს როგორც მგზნებარე მამულიშვილები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლესაც არ იშურებენ გამარჯვებისათვის (ბახტრიონი).

ისინი დევგმირები არიან. მაგრამ ყველაფერზე მაღლა აყენებენ მშვიდობასა და შრომას ყველა ადამიანის სასარგებლოდ (გოგოთურ და აფშინა).

ან ისინი არიან ალუდა ქეთელაურის მსგავსნი, რომელიც წინააღუდგა გვარის მოთხოვნებს. მან ხელი არ მოაჭრა, როგორც ამას ადათი მოითხოვდა, ქისტ მუცალს, რომელიც მან ბრძოლაში მოკლა. ალუდას ოჯახიანად აძევებენ სამშობლო სოფლიდან, იგი მიდის და გულში მიაქვს თავისი ჭეშმარიტება, თავისი ნამოქმედარის გამართლება. იგი სინანულს არ გამოთქვამს, არ უთმობს გვარს თავის უფლებას — აღიაროს თავისავით გულადი მეორე ადამიანის მამაცობა და თანასწორობა.

„სტუმარ-მასპინძელში" ქისტი ჯოყოლა კავშირს წყვეტს თავის გვართან, რადგან ვერ ურიგდება იმას, რომ სისხლის აღების გულისათვის დარღვეულია სტუმართმოყვარეობის ძველისძველი კანონი. იგი არად აგდებს თავისიანების შურისძიებას და თავის ცოლთან, მშვენიერ, სათნო და გაბედულ აღაზასთან ერთად იღუპება ისევე, როგორც სტუმარი ხევსური ზვიადაური. მაგრამ რომ დაიღუპნენ, გამარჯვების სიხარული როდი განაცდევინეს თავიანთ მწვალებლებს. თავიანთი სიკვდილით ვაჟას გმირებმა დაამარცხეს წარსულის წყვდიადი. ისინი დაიღუპნენ მომავლისათვის, არ დანებებიან სიკვდილს. აღაზას, ჯოყოლასა და ზვიადაურის უკვდავი აჩრდილები აუწყებენ ახალ თაობებს ნამდვილი ადამიანების გამარჯვებას.

„გველისმჭამელში" ხევსური მინდია ტყვედ ჩაუვარდება დევებს და მძიმე ტყვეობით სასოწარკვეთილი განიზრახავს თავი მოიკლას. იგი შეხვრებს გველის წვენს, რომელსაც დევები ჭამენ, და ენიჭება საოცარი ძალა — მინდიასათვის გასაგები ხდება მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა ენა. მაგრამ ბუნებასთან ამ სასწაულებრივი შერწყმის ნიადაგზე იწყება მისი კონფლიქტი ოჯახთან, თანასოფლელებთან, ტომთან. ბუნების არაჩვეულებრივი შეცნობის სასწაული, რამაც შეარყია მისი ცხოვრება, აუტანელი ტვირთი ხდება მინდიასათვის და იგი, გარშემო მყოფთა სრული გაუგებლობით დატანჯული, თავს იკლავს.

ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო ჰგავს იმ სამყაროს, რომელიც მინდიას წინ გადაეშალა. ვაჟა-ფშაველა ესაუბრება ღრუბლებს, მთვარესა და მთებს, ხოლო თვით პოეტს ესაუბრებიან ფრინველები და ცხოველები, ტყეები და მდინარეები, თავის განცდებს იგი მშობლიური ბუნების სიღრმეში აზავებს. მაგრამ ის, რაც ვაჟა-ფშაველას საოცარი სიმდიდრეა, სულაც ვერ ამდიდრებს ღარიბ ფშაველ გლეხს ლუკა რაზიკაშვილს.

ზოგჯერ იგი, შავი ფიქრებით სასოწარკვეთილებამდე მისული, მთიელთა ცხოვრების შემხედვარე, იხსენებს ცხოვრებას თბილისში, სადაც დროდადრო თავისი ნაწერები ჩააქვს, და ხედავს რა, რომ იქ — ქალაქშიც და აქ — მთებშიც მეფის თვითმპყრობელობა თარეშობს მთელი თავისი შავბნელი დესპოტიზმის ძალით, ნაღვლიანად ამბობს:

> ნუ გასჯავრდებით, შვილებო,
> და ნუ დაგვიწყებთ გმობასა,
> რომ ბევრი საქმე დაგიგდეთ
> გასაკეთებლად მოდგმასა.
> ჩვენი დრო იყო გრძნობისა,
> ჩვენაც ვგლოვობდით, ვტიროდით.
> რომ სნეულს წამალიც უნდა,
> იმას ვეღარა ვფიქრობდით.
> დრო იყო შეუსაბამო,
> გარემოება ვერანი,
> ამაოდ დაგვრჩა მამებსა
> ფიქრი და გულის ძგერანი.
> ეგებ თქვენ დაიჯილავოთ
> ბარათაშვილის მერანი!

ადამიანები მთის სოფლებში ჩამორჩენილად, ღატაკურად ცხოვრობენ, ჩაფლული არიან ცრუმორწმუნეობაში, მაგრამ მაინც რაღაცით უფრო თავისუფალი არიან ქალაქის ადამიანებზე, რაღაცით უფრო ძლიერი არიან, იქნებ თავიანთი ბუნებრივი უბრალოებით, გულღიაობით, ალალმართლობით და თავიანთი სახტიკე ძველი ჩვეულებებისადმი რწმენით. ქალაქში ყველაფერი უფრო რთულია, მთიდან ჩამოსულ პოეტს იქ უჭირს. მუდმივი რთული ურთიერთობა რედაქციებთან, იმის ძიება, თუ თავისი ახალი ნაწერი სად გაჰყიდოს, უცხო გარემო, თავის დამამცირებელი თხოვნა, ცოტაოდენი სახელფასური მაინც მომეცითო... მართალია, ნამდვილი მეგობრებიც ჰყავს, მაგრამ საერთოდ ცხოვრებამ იმდენი უბედურება აგემა, ისეთი შხამი შეასვა, რომ მთელი არსება მოეწამლა, მაგრამ მან ეს შხამი, როგორც ერთ-ერთ თავის ლექსში ამბობს, კახურ ღვინოსავით გადაჰკრა. და მაინც ჩაგვრისა და ბნელეთის ამ ქვეყანაში თვლემენ ხალხის ძალები, დევგმირული ძალები, რომლებიც ხალხურ თქმულებებში ცოცხლობენ.

და როცა ვაჟას ეჩვენება, რომ ხალხმა გამოიღვიძა, მას გულში ჩაესახება მძლავრი ოცნება. იგი აპირებს შეკრიბოს მთიელთა ჯარი და მთებიდან შეიჭრას ბარში, გამოაღვიძოს საქართველო და საბრძოლველად ეკვეთოს ცარიზმს, ქვეყნის მჩაგვრელებს. ეს კი არც ისე იოლი საქმეა. და თუმცა ჰალარა წარსულის სიტყვები პოეტს დღევანდელ დღესავით ჩაესმის ყურში, მაგრამ, ყოველი მხრიდან ერთი ხმა მოდის:

> ვაჰმე, რა გვეშველებაო,
> კარგები იხოცებიან,
> ბეჩავი ხელში გვრჩებაო!

მაგრამ ახლა სხვა დროებაა. და ამიტომ პოეტი, რომელიც ცოცხლობს მშვიდობისა და შრომის უტოპიით, ბუნებასა და ადამიანს შორის წონასწორობის უტოპიით, მსოფლიოსადმი სამსახურით, კეთილი და ნათელი ადამიანური გრძნობების ჰარმონიის რწმენით, რაკი ხედავს, როგორ უქელავს პოეტურ სახეებს უხეში სინამდვილე, გაფაციცებით წერს ბობოქარი 1905 წლის დღეებში, შრომა ღირსეულად უნდა ნაზღაურდებოდეს, ცოდნა და სიმდიდრე თანაბრად უნდა ნაწილდებოდესო... ვისაც თავისუფლება უყვარს და მისი გამარჯვება სურს, მან უწინარეს ყოვლისა მთელი თავისი არსებით უნდა შეიძულოს ტირანია და ტირანები... ლოზუნგები „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა" ჯერ კიდევ არასოდეს არ გაისმოდა ასეთი ძალით. ამ ლოზუნგებით არა მარტო ჩვენი სმენაა სავსე, ამ ლოზუნგებით ქვებიც კი გამსჭვალულანო...

ასე ბობოქრობდა მაღალი შემართების მომღერლის სული, სხვადასხვა წინააღმდეგობით გაწამებული პოეტი ხან მიემართება დევგმირული ხასიათებისა და ტრაგიკული კონფლიქტების სახელოვან დროებაში, ხან უბრუნდება მთის სამყაროს რეალობას, ხეობაში მივარდნილი ჩარგლის მყუდროებას, სადაც იგი მინდიასავით გრძნობდა გათიშვას თავის თავსა და გარემომცველ ყოფას შორის, რომელიც მოითხოვდა არა მდელოებისა და კლდეების ხმებს, არამედ სულ უბრალო სახსრებს ყოველნაირად გაჭირვებული, შევიწროებული ოჯახის არსებობისათვის.

მან თავის პოემებში გამოიყვანა ქალთა შესანიშნავი სახეები, ლაჩრების გონზე მომყვანი მრისხანე დედების, მამაცი დების, გულითადი და შემმართებელი ცოლების სახეები. ასეთია გიგლიას დედა, დრამატული სანათა „ბახტრიონში", აღაზა, ნაზი და ამაყი თავისი სიმტკიცით, თავის დაღუპვას რომ არ ერიდება. ჩვენ ვიცით, რომ ვაჟას ჯალაბი, საკუთარი ოჯახის წევრი ქალები ამ გმირ ქალებს არ ჩამოუვარდებოდნენ თავიანთი გრძნობის სიმტკიცითა და ძალით.

და დღეს ვაჟას ვუძღვნით მთელ მადლობას შთამომავალნი, რომლებისთვისაც იგი წერდა ფშავის ბნელ ღამეებში, მთის ბუხართან, თავის პატარა სახლში. ეს შთამომავალნი ვაჟას, ახალი გმირული დროების გამომხატველს, ესახებოდნენ როგორც შრომისა და მშვიდობის დამცველნი, რომლებსაც სწყუროდათ თავისუფლება ყველა ტომისათვის და განასახიერებდნენ ხალხთა იმ ძმობასა და მეგობრობას, რაზეც ასე მგზნებარედ თხზავდა იგი ტრაგიკულ პოემებს და მღეროდა მწარე სიმღერებს.

ჩვენ ვეთანხმებით ვაჟას და ვიმეორებთ მის სიტყვებს პასუხიდან კრიტიკოს ი. ვართაგავასადმი: „ჩვენც, პოეტნი, მწერალნი და საზოგადოდ მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის, დღევანდელი ხალხი ცალ-ცალკე და საერთოდ, საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითეული ჩვენგანისა იყოს აზრშეწონილი. დღევანდელს თვითეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა იქ მივუყვანდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა... ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალსა ჰქმნის. ვინც ბევრსა ჰხნავს და სთესავს, იმას ბევრი პური მოსდის".

ვაჟა-ფშაველამ ბევრი იშრომა თავის პოეტურ ყანაში. და ისეთი ბარაქიანი მოსავალი მოიმკო, რომელიც დიდხანს დარჩება შთამომავალთა ხსოვნაში.

აი რატომ ვუერთდებით ჩვენ იმ მგზავრებს, რომლებიც წავლენ ფშავის წარმტაც ხეობაში, რათა ნახონ ჩარგალი — პოეტის აკვანი და პოეზიის აკვანი, რათა ჯეროვანი მიუზღონ ფშაველ ვაჟკაცს, მამაც ლუკა რაზიკაშვილს, რომელიც იქცა ჩვენს შესანიშნავ მეგობრად — ვაჟა-ფშაველად!

დაწერილია სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის".



1861-1961

## 26 ივლისს ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავი



ვაჟა-ფშაველა (1914 წ.).

* * *



## საიუბილეო პლენუმი

25 ივლისს, დღის 12 საათზე, მწერალთა სახლის კლუბში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს დიდი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის **ვაჟა-ფშაველას** დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო პლენუმს.

პლენუმზე შესავალი სიტყვით გამოვა პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

მოხსენებებს წაიკითხავენ სიმონ ჩიქოვანი — „ვაჟა-ფშაველას პოეზია", აკაკი ბელიაშვილი — „ვაჟა-ფშაველას პროზა", დიმიტრი ბენაშვილი — „ვაჟას დრამატურგია", ალექსანდრე გომიაშვილი — „ვაჟა და ხალხური პოეზია", ბესარიონ ჟღენტი — „ვაჟა და თანამედროვე საბჭოთა პოეზია".

დასასრულ წაკითხული იქნება მისალმებები. სიტყვებით და მოგონებებით გამოვლენ ვაჟა-ფშაველას თანამედროვენი.

---

დრო არ ითმენს, სკოლის მშენებლებო!

# სიხარული და სინანული

ფუნჯის ერთი მოსმა, და სურათის საერთო კოლორიტი იცვლება. ასეა ბუნებაშიც. საგურამოსკენ მიმავალი მგზავრი აუცილებლად შეამჩნევს აქაურ პეიზაჟში მომხდარ ცვლილებას. კოშკურა ამწე, რომელიც შორიდან ზღაპრულ ფრინველს ჰგავს, სულ სხვა იერს აძლევს ზედაზენს ქვემოთ დაცემულ ვაკეს.

სწორედ იმ კოშკურა ამწესთან არის ახლა გაჩაღებული შრომის ფერხული. ილიას სახლ-მუზეუმის მახლობლად განუწყვეტლივ ისმის ავტომანქანების გუგუნი, ბეტონსარევის, ექსკავატორის, ბულდოზერისა და სხვა მანქანების ხმაური. მიმდინარეობს საგურამოს სკოლა-ინტერნატის მშენებლობა, რომელმაც 440 მოსწავლე უნდა დაიტიოს. აქ არის ჯანსაღი ჰაერი, წარმტაცი ბუნება, წყაროს ანკარა წყალი. ეს ადგილი ზედგამოჭრილია ინტერნატისათვის.

ერთმანეთს ეჯიბრებიან ცალკეული ბრიგადები და ადამიანები. მაღალნაყოფიერი შრომით სახელი გაითქვეს მებეტონეთა ბრიგადის წევრებმა, რომლებსაც გიორგი ირემაშვილი ხელმძღვანელობს. დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ვანო შამხალაშვილის ბრიგადის კალატოზები, ბეჯითად შრომობენ გალავნელი, საგურამოელი და მუხრანელი დურგლები, რომლებსაც ასანა გოლოშვილი მეთაურობს.

ასეთი ტემპით და მონდომებით უწინ რომ ემუშავათ, ახლა მშენებლობა თითქმის დამთავრების პროცესში იქნებოდა. ორიოდე კვირის წინათ აქ 120-ის ნაცვლად მხოლოდ ორმოციოდე მუშა ჰყავდათ, არ გააჩნდათ ელექტროენერგია და სამშენებლო მანქანები. კოშკურა ამწე უმოქმედოდ იდგა, მცხეთის ავტოსატრანსპორტო კანტორა (დირექტორი ო. კანდელაკი) მშენებლობაზე ზოგჯერ დანჯღრეულ ავტომანქანებს გზავნიდა. ამის გამო ინტერნატის მშენებლობის გეგმა 1 ივლისისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 12,5 პროცენტით.

მდგომარეობა შეიცვალა მაშინ, როცა რესპუბლიკურმა გაზეთებმა განგაში ატეხეს და პარტიის მცხეთის რაიკომის ბიურომ მშენებლობის საკითხი განიხილა. ერთბაშად იმატა ტემპმა, ინტერნატი მზად უნდა იყოს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის. საინტერესოა შეძლებენ თუ ვერა ამ საპატიო ამოცანის განაღდებას მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები.

— რა გაკლიათ, რა გიშლით ხელს? — ვეკითხებით მშენებლობის უფროსს მიხეილ ბოხუას.

— ახლა თითქმის არაფერი, მხოლოდ საჭიროა ტემპი და ტემპი. ჩვენმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე თვესვე დაამთავროს საძინებელი კორპუსის ორი სართული, ჩაყაროს სასკოლო კორპუსის საძირკველი, დაამთავროს სასადილო და სამეურნეო კორპუსების გადახურვა.

— ამ მიზნით, — თქვა მ. ბოხუამ, — ხვალიდან გადავალთ ორცვლიან მუშაობაზე, არცერთ წუთს უქმად არ დავკარგავთ, მაგრამ...

— ალბათ კიდევ გაკლიათ რამე?

— შენობების აგებას დავამთავრებთ, მაგრამ მარტო ეს ხომ არ კმარა. საჭიროა მოვაწყოთ კანალიზაცია, გამოვიყვანოთ წყალი. ამ სამუშაოთა პროექტები და დოკუმენტაცია დღემდე არ მიგვიღია. ხუმრობა არ არის კანალიზაციის სამ კილომეტრზე გაყვანა. ამას ცოტა დრო როდი დასჭირდება.

— ვერ იქნა და დღემდე ვერ მოხერხდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გამოყვანა. გვაქვს მცირე ძალის შიდაწვის ძრავი, რომლის გამომუშავებული ენერგია ძლივს ყოფნის ბეტონსარევს. თუ ბეტონსარევი მუშაობს, კოშკურა ამწე დგას, ან პირიქით, დენი არ გვყოფნის, — გულისტკივილით დაასრულა მშენებლობის უფროსმა.

...ბევრი ხარაჩო ახარებს ადამიანის გულს არაგვის ხეობაში. ქალაქ დუშეთის მახლობლად სოფელ პირმისაანთკართან ახლახან აღიმართა სკოლა-ინტერნატის სამსართულიანი კორპუსი, სწრაფი ტემპით აშენებენ საძინებელ, სასადილო და სხვა დამხმარე ნაგებობებს. მუშახელის სიმცირემ საგრძნობლად შეანელა სამუშაოთა ტემპი, მაგრამ უკანასკნელ დროს მდგომარეობა გამოსწორდა. ახლა ინტერნატი შენდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მარჯვენით. შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა დუშეთის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ბრიგადამ, რომელსაც მასწავლებელი ა. კობიაშვილი ხელმძღვანელობს.

ინჟინერი შალვა ბალდასარიშვილი, რომელიც მშენებლობას ხელმძღვანელობს, დაბეჯითებით ამბობს:

— ინტერნატს დაწესებულ ვადაზე ჩავაბარებთ, მაგრამ...

აქაც „მაგრამ", ისე, როგორც საგურამოში, აქაც ჯერაც არ მიუღიათ კანალიზაციისა და წყალსადენის საჭირო დოკუმენტაცია. ზოგის აზრით წყალი აქ ბაზალეთის ტბის მიდამოებიდან უნდა გამოიყვანონ, ზოგი კი სპეციალური აუზის მოწყობას თვლის მიზანშეწონილად. ჯერჯერობით ეს მხოლოდ სიტყვიერი პაექრობაა და არა საბოლოო გადაწყვეტილება. დრო კი მიდის. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში?

მშენებლობას ჯერაც არ მიუღია შენობის გადასახურავი მასალა, ცენტრალური გათბობის ქვაბები, გაფუჭებულია ბეტონსარევი მანქანა.

...სოფელ არაგვისპირის ბოლოს, დუშეთის გადასახვევთან თუ დააკვირდებით, ქვის კარგა მოზრდილ გროვას შეამჩნევთ. ეს ქვა ამ სამიოდე წლის წინათ დაყარეს აქ.

არაგვისპირელმა კოლმეურნეებმა თავიანთ თავმჯდომარედ ადგილობრივი სკოლის დირექტორი ნიკო ლოთიკაშვილი რომ აირჩიეს, ფიქრობდნენ: — თვითონ მასწავლებელი კაცია და აბა სკოლის შენობას როგორ არ აგვაშენებინებსო. ნიკოც პირობას იძლეოდა: — რადაც უნდა დაჯდეს სკოლას ახალი შენობა უნდა ავუგოთო. სწორედ მაშინ მოიტანეს იმ ადგილას ქვის გროვა, რომელიც სოფლის ბოლოს ახლაც ყრია. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კი დაპირება დაავიწყდა.

ნატახტარი ერთ-ერთი მოზრდილი სოფელია მცხეთის რაიონში. არ შეიძლება არ გაიხაროთ, აქაური კოლმეურნეების ახალ სახლებსა და კოპწია ბაღჩებს რომ იხილავთ. ამას წინათ სოფელში შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა. სოფელი წინ მიდის, შენდება და მშვენდება, მაგრამ რა დიდი სირცხვილია, ნატახტარელ ბავშვებს საკუთარი სკოლის შენობა რომ არ გააჩნიათ. ისინი დაქირავებულ ბინებში სწავლობენ. ხშირად გაკვეთილის დროს კლასში გაისმის სახლის მეპატრონეთა ჩვილი ბავშვების ტირილი და გარეშე ადამიანების საუბარი.

სამიოდე წლის წინათ აქ საძირკველი ჩაუყარეს ოთხოთახიან სასკოლო შენობას. აშენდა კედლები, შენობა გადახურეს კიდეც, ჩასვეს კარ-ფანჯრების ჩარჩოები და ამით დამთავრდა ყველაფერი. კედლებში დამაგრებული ჩარჩოები ძირს ცვივა და იმტვრევა. ამას გულგრილად უყურებენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და რაიონის განათლების განყოფილების მუშაკები.

— რა ვქნა, ფული აღარა გვაქვს და ამიტომაც ვეღარაფერს ვაკეთებთ, — გვეუბნება სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დავით ბრაჭული.

— ნუთუ რაიონის ხელმძღვანელები არ გეხმარებიან?

— როგორ არა. ამას წინათ დაგვპირდნენ დამატებით ფულს მოგცემთო.

— კი, მაგრამ როდის. სადაცაა არის აგვისტო დაიწყება, როდისღა მოასწრებთ მშენებლობის დამთავრებას?

ამ კითხვაზე დავითი დუმს და უხერხულად იღიმება.

აი რატომ ჰქვია ამ წერილს სიხარული და სინანული.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ჩვენი სტუმრები

მახარაძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ ჩამოვიდა უზბეკეთის სსრ მშენებელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. რომანოვი — უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების უფროსის მოადგილე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ი. ვეშკი — საპროექტო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი, შ. ბოჭორიშვილი — საპროექტო ინსტიტუტის „უზგიპროსელსტროის" ფილიალის უფროსი და სხვ.

სტუმრები რამდენიმე დღეს დარჩნენ მახარაძეში, გაეცნენ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას. დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი.

---

ალმური ტრიალებს ალაზნის ველზე. მინდვრად მისასვლელ გზებს მტვრის კორიანტელი ასდის. ცხელა, მაგრამ ეს როდი აშინებს კოლმეურნეებს. ისინი ტანაყრილი სიმინდის ყანებს შესევიან, რწყავენ...

საუცხოო სანახავია ახლა გურჯაანის რაიონის წინამხრის კოლმეურნეობათა მინდვრები. კარგად გამოიყურება „მინდვრის დედოფალი", მწვანე მკლავებად გაუშლია ფურცლები, ფერადი ულვაშიც ამოსულია, რომ კოლმეურნეთა გული გაახაროს მკლავისოდენა ტაროებით.

წინამხრის კოლმეურნეობებს ყოველგვარი პირობა აქვთ მაღალი მოსავლის მისაღებად. მათ განსაკუთრებული ენერგიით მოჰკიდეს საქმეს ხელი, რომ დათქმული სიტყვა არ გატეხონ, წარმატებით გაანაღდონ დავალება — სამშობლოს მისცენ მეტი მარცვლეული. წინამხარში 1400 ჰექტარს აღემატება სიმინდის ნაკვეთები. კოლმეურნეებმა იანგარიშეს: თუ მარტო ამ ფართობებიდან საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერ სიმინდის მოსავალს მიიღებენ, მაშინ კოლმეურნეები ორჯერ მეტ სიმინდს მიჰყიდიან სახელმწიფოს, ვიდრე ეს მთელი რაიონის გეგმით არის ნავარაუდევი. მრავალ კოლმეურნეობაში, ბრიგადასა და რგოლში კი ჰექტარზე საშუალოდ 80-100 ცენტნერი სიმინდის მიღებას ფიქრობენ. ამის თავდებია სანიმუშოდ დამუშავებული და მოვლილი ნათესები. აი ერთ-ერთი ასეთი ნათესიც.

დიდი დრო მოვანდომეთ ვაზისუბნის კოლმეურნეობის სიმინდის ყანების შემოვლას. ვიარეთ და ბოლოს „ცენტრალური საველე საწყობის წინა ნაკვეთებთან" შევხვდით ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ იაშვილს და აგრონომ ზურაბ ბრეგვაძეს.

— კარგი ნათესი გქონიათ, ამხანაგო მიხეილ, ამხანაგო ზურაბ! — მივმართეთ როგორც ძველ ნაცნობ-მეგობრებს, — თქვენი სიმინდები ალბათ არცერთი კოლმეურნეობის ნათესს არ ჩამოუვარდება რაიონში.

— გმადლობთ ასეთი შეფასებისათვის! — გვიპასუხა თავმჯდომარემ. — ჩვენც გვაინტერესებს მეზობლების მიღწევები და ხშირად ვათვალიერებთ მათს ნათესებს. მაგალითად, ძალიან მომწონს ჩუმლაყელებისა და გურჯაანელების სიმინდის ყანები. რა თქმა უნდა, არც ჩვენია ცუდი. მთავარი ის არის, რომ სურვილი გვაქვს ყველას ვაჯობოთ რაიონში.

გზადაგზა საუბარმა ისევ მინდვრისკენ გაგვიყოლია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გვაჩვენა მაღალმოსავლიანი ნაკვეთები.

— ამ ნათესს ხომ ხედავთ, ასცენტნერიანს ვეძახით. ახლა თითქმის დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვას შევასრულებთ. ნათესს არც კულტივაცია დავაკელით და არც მორწყვა.

თვალს მშვენიერი ყანა იზიდავდა, ბას-ბასით მივდიოდით და ტრაქტორების გუგუნიც გვესმოდა.

— ეს ჩვენი მექანიზატორები არიან, — თქვა აგრონომმა, — არჩილ გოჩანაშვილი და მისი ვაჟიშვილი ემზარი. დაუღალავი ადამიანები არიან. მათი მოხნული და კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია ეს ფართობები. ამას წინათ მესამე კულტივაცია დაამთავრეს. არჩილმა წელს 155 ჰექტარ ფართობზე დათესა სიმინდი, ხოლო მისმა შვილმა — 170 ჰექტარზე.

— გვიამბეთ, ვის თვლით ყველაზე მოწინავე მესიმინდეებად კოლმეურნეობაში? — შევეკითხეთ თავმჯდომარესა და აგრონომს.

— როგორ გითხრათ, გვიჭირს კიდეც მათი ჩამოთვლა, ბევრი გვყავს მოწინავე და ყველა ერთმანეთზე უკეთესია. ქების ღირსნი არიან კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი რუსიშვილი, ბრიგადირები იროდი ონაშვილი და ალექსი დათუნაშვილი... ახალგაზრდებმა ლამის სულში ჩაისვან კომკავშირის კომიტეტის მდივანი ანზორ იაშვილი. მან პირველმა იკისრა ჰექტარზე საშუალოდ 150 ცენტნერი სიმინდის მოყვანა.

— მოიყვანს კი 150 ცენტნერ სიმინდს? — სიტყვა გავაწყვეტინეთ თავმჯდომარეს.

— რა თქმა უნდა, მოიყვანს, — იმედიანად თქვა აგრონომმა, — მარტო ანზორი კი არა, აი ჩვენი ჩოქოლი ქვაჩახიაც...

— როგორ, ქვაჩახია! — გავიკვირვეთ, იგი ხომ გალის რაიონის სოფელ ოქუმში ცხოვრობს?!

კოლმეურნეობის ბრიგადირმა ე. სოლომნიშვილმა გულიანად გაიცინა და გვითხრა:

— ახლა ქვაჩახიას ეძახიან ჩვენი კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს აკაკი დათუნაშვილს. იგი სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატია. წელს მან ჰექტარზე საშუალოდ 150 ცენტნერი სიმინდის მოყვანა იკისრა. აკაკი შეეჩვია უკვე სახელგანთქმული კოლმეურნის ქვაჩახიას სახელისა და გვარის დაძახებას და ამაყობს კიდეც.

სიამაყის გრძნობით გვითხრეს კოლმეურნეობაში, რომ კომუნისტი ლევან მთვარელაშვილი და უპარტიო ივანე ღარიბაშვილიც ჰექტარზე საშუალოდ 150 ცენტნერ სიმინდის მიღებას ფიქრობენ.

ვაზისუბნელ კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ 220 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მიიღონ, ხოლო ამ ფართობის 110 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე — 100 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

* * *

სასიამოვნო სანახავია ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მაღალმოსავლიანი სიმინდის ნათესიც (თავმჯდომარე ვ. უტიაშვილი, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ქ. ჰიპაშვილი). აქაურმა კოლმეურნეებმა წლის დასაწყისში გადაწყვიტეს 120 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღონ, ხოლო დანარჩენ ფართობზე — 40 ცენტნერი. ახლა ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ ბევრად გადააჭარბონ აღებულ ვალდებულებას და მეტ წილ ფართობებზე 80-100 ცენტნერი სიმინდი მოიყვანონ. ამიტომ დილიდან დაღამებამდე მინდვრად ტრიალებს ამ სოფლის მუშახელი, წარმატებით მიმდინარეობს ყველა საზაფხულო სამუშაო.

ზღვასავით მობიბინე ყანაში შევხვდით ილია ჩოლოშვილის ბრიგადის წევრებს ნ. ბითარიშვილს, მ. გოიაშვილს, ფ. ვანიევს და ზ. ძებისაშვილს. ხელის ჩამორთმევა და გაბაასება ერთი იყო.

— როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდებო, — მივმართეთ მათ, — ჰექტარზე საშუალოდ რამდენ ცენტნერ სიმინდს მოიყვანს თქვენი ბრიგადა?

— თუ სხვა ბრიგადები 60 ცენტნერს მიიღებენ, — გვიპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა, — ჩვენ 80 ცენტნერი მაინც უნდა მივიღოთ. ნათესები კარგად გვაქვს დამუშავებული. ზედა ნაკვეთზე წყალი მეორედ მივუშვით... ჩავატარეთ მცენარის დამატებითი გამოკვება, გამოხშირვა, ხელახლა გამოვთესეთ გაცდენილი ნაკვეთები და ახლა ყოველ ჰექტარზე 40.000 ძირი სიმინდი აუცილებლად გვექნება.

დავემშვიდობეთ ახალგაზრდა კოლმეურნეებს. ვნახეთ კიდევ ბევრი შრომისმოყვარე ადამიანი, რომლებიც ზრუნავს არ აკლებენ „მინდვრის დედოფალს".

ალ. ზურაშვილი,
ს. ქორჩლაძე.

# გულთბილად ხვდებიან კოსმოსის პიონერს

**კატოვიცე**, 21 ივლისი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ნ. კოჩემკოვი იტყობინება: დღეს საბჭოთა კოსმონავტი ი. ა. გაგარინი სილეზიის მშრომელთა სტუმარი იყო. იმ მომენტისათვის, როცა უნდა მოსულიყო სპეციალური მატარებელი, რომელშიც კოსმოსის პიონერია, ქალაქ კატოვიცეს ვოგზლის მოედანზე და ახლომდებარე ქუჩებში ასი ათასამდე კაცი შეიკრიბა. სილეზიის მეშახტეები საბჭოთა სტუმარს შეხვდნენ ტრადიციული პოლონური მისალმებით „ასი წელი", ყვავილთა თაიგულებით, მეგობრულად გადაეხვივნენ.

ვოგზლის მოედანზე გაიმართა მიტინგი. მიესალმა რა ძვირფას სტუმარს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის კატოვიცეს სავოევოდო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა ი. ა. გაგარინს უსურვა, რომ სილეზიის მიწაწყალზე თავს ისე გრძნობდეს, როგორც შინ.

საბჭოთა კოსმონავტმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და ქალაქ კატოვიცეს მცხოვრებლებს გადასცა საბჭოთა კავშირის მშრომელთა სალამი და უსურვა წარმატებანი შრომასა და ცხოვრებაში.

ქალაქის სადღესასწაულოდ მორთული ქუჩებით ი. ა. გაგარინი გაემგზავრა ქალაქის ცენტრში, ხოლო აქედან იგი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის კატოვიცეს სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. იაროშევიჩი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ა. ბ. არისტოვი სამოგზაუროდ წავიდნენ სილეზიაში.

სილეზიის ასეულ ათასობით მცხოვრები გულითადად მიესალმება კოსმოსის გმირს. ორ საათზე მეტ ხანს მიდიოდა ადამიანთა კორიდორით ღია მანქანა. კატოვიცე, ხოჟუვი, ზაბჟე, ბიტომი, კვლავ ხოჟუვი და კატოვიცე — ასეთია მარშრუტი ამ ტრიუმფული მოგზაურობისა პოლონეთის უდიდეს ინდუსტრიულ რაიონში, სადაც ერთი ქალაქის შემდეგ მაშინვე იწყება მეორე ქალაქი. ყველგან უკრავს ორკესტრი, მანქანა, რომლითაც კოსმოსის გმირი მიდის, ყვავილებით არის სავსე. შახტები და ფაბრიკები მას მიესალმებიან საყვირით.

## საერთაშორისო ცხოვრება

### დღევანდელი ცნობები მიმოხილვა

# ფრანკები თელავენ ტუნისის მიწას

**ნიუ-იორკი**, 22 ივლისი (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება: გუშინ აქ დაიწყო უშიშროების საბჭოს სხდომა. საბჭო შეიკრიბა იმისათვის, რომ განიხილოს საკითხი ტუნისის წინააღმდეგ საფრანგეთის აგრესიული მოქმედებისა, რომელიც არღვევს ტუნისის სუვერენიტეტს და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

### უშიშროების საბჭოს სხდომა

პირველი გამოვიდა საბჭოს სხდომაზე მოწვეული მუდმივი წარმომადგენელი ტუნისისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონჯი სლიმი, რომელმაც ჩამოაყალიბა ისტორია საფრანგეთის იმპერიალისტების აგრესიის ახალი აქტებისა მისი ხალხის წინააღმდეგ. აგრესიის დასაწყისი, თქვა სლიმმა, ის იყო, რომ საფრანგეთის მთავრობამ პარაშუტისტების ახალი ნაწილები გაგზავნა ბიზერტის სამხედრო ბაზაში, რომელიც ტუნისის ტერიტორიაზეა. ეს ჯარები ტუნისის ტერიტორიაზე გაიგზავნა ამ ქვეყნის საჰაერო სივრცით, მიუხედავად იმისა, რომ ტუნისის მთავრობამ აკრძალა. ტუნისის ჯარებისა და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ოპერაციებში მონაწილეობენ საფრანგეთის ავიაცია, ფლოტი, ტანკები. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბიზერტა და მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა სისხლის ღვარი დააყენეს. გრძელდება ტუნისის სოფლების დაბომბვა, საფრანგეთის ჯარების თავდასხმა ტუნისის ჯარებსა და სამოქალაქო მოსახლეობაზე. დახოცილია ასობით ტუნისელი ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი.

ასეთია ფაქტები, განაგრძო მონჯი სლიმმა. ისინი მთელი დამაჯერებლობით მეტყველებენ საფრანგეთის შეიარაღებულ აგრესიაზე ტუნისის ხალხის წინააღმდეგ, წინასწარ განზრახულ აგრესიაზე, რომელიც დღემდე გრძელდება.

ტუნისის დელეგატმა მოაგონა სხდომას, რომ მისი მთავრობა დაბეჯითებით ცდილობდა, რათა საფრანგეთთან მოლაპარაკების გზით მიეღწია საფრანგეთის ჯარების ევაკუაციისათვის ტუნისის ტერიტორიიდან. მაგრამ საფრანგეთის ხელისუფლებმა უარი თქვეს დაეკმაყოფილებინათ ტუნისის მთავრობის კანონიერი მოთხოვნები.

მონჯი სლიმმა განაცხადა, რომ მისმა მთავრობამ გაითვალისწინა ტუნისის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიული მოქმედება და გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთთან. მან მოუწოდა უშიშროების საბჭოს განახორციელოს ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს საფრანგეთის აგრესია. მან აგრეთვე სთხოვა უშიშროების საბჭოს დაეხმაროს ტუნისს განთავისუფლდეს აგრესიის მუდმივი საფრთხისაგან — მიაღწიოს საფრანგეთის შეიარაღებული ჯარების გაყვანას ტუნისის ტერიტორიიდან.

თვალთმაქცურად გაისმა საფრანგეთის წარმომადგენლის ბერარის სიტყვა, რომელიც ირწმუნებოდა, თითქოს საფრანგეთის მთავრობა „ძმური მეგობრობის გრძნობით ეპყრობოდეს ტუნისელ ხალხს". მაგრამ მან აშკარად განაცხადა, საფრანგეთი არ აპირებს ნებაყოფლობით გაიყვანოს თავისი ჯარები ტუნისის ტერიტორიის ოკუპირებული ნაწილიდანო.

საფრანგეთის დელეგატის გამოსვლამ ცხადყო, რომ საფრანგეთს განზრახული აქვს განაგრძოს სისხლიანი დანაშაულობანი ტუნისელი ხალხის წინააღმდეგ.

ამერიკის დელეგატმა იოსტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დიდად სწუხს „ტუნისის ტრაგიკული ამბების" გამო. მან ურჩია უშიშროების საბჭოს მოუწოდოს ტუნისსა და საფრანგეთს მშვიდობიანი საშუალებებით მოაწესრიგონ კონფლიქტი.

ჩემი ქვეყნის ხალხი და მთავრობა, თქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგატმა ფარიდ ჩელაუიმ, ღრმად აღაშფოთა საფრანგეთის დანაშაულებრივმა მოქმედებამ ტუნისის წინააღმდეგ. ტუნისის ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარები რომ არ ყოფილიყვნენ, განაგრძო მან, არც ეს სისხლისღვრა მოხდებოდაო.

თურქეთის წარმომადგენელმა ტურგუთ მენემენჯიოღლუმ მოუწოდა — შეწყვიტონ საომარი მოქმედება ტუნისში და აღადგინონ სტატუს-კვო.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პ. დ. მოროზოვი. მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა და ხალხებმა, თქვა საბჭოთა დელეგატმა, დიდი შეშფოთებითა და ღრმა აღშფოთებით შეიტყვეს აგრესიის ახალი აქტები, რომლებიც ფრანგ კოლონიზატორებს ჩაუდენიათ უკანასკნელი დღეების განმავლობაში. ამჟამად ტუნისში, ბიზერტის რაიონში, კვლავ იღვრება სისხლი. იმ მომენტში, როცა ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს უშიშროების საბჭოში, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, საფრანგეთის მთავრობა აგრძელებს ტუნისელი ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებულ აგრესიას, რომელიც მან დაიწყო. ბიზერტის რაიონში ახალი მაშველი ძალები გაიგზავნა. გრძელდება საფრანგეთის ჯარებისა და ფლოტის კონცენტრაცია. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საფრანგეთის მიერ ბიზერტის რაიონში დაწყებული სამხედრო მოქმედება სულ უფრო და უფრო გაიზრდება საფრანგეთის რეგულარული არმიის ნაწილების მეტევით ოპერაციად ტუნისის წინააღმდეგ.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოაგონა სხდომას ომი, რომელიც გრძელდება ალჟირში, კონგოს, ანგოლის, სამხრეთ დასავლეთ აფრიკის, კუვეიტის ამბები და ხაზი გაუსვა, რომ ტუნისის უკანასკნელი ამბები მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლინებაა კოლონიურ სახელმწიფოთა საერთო აგრესიული ხაზისა იმ ხალხების მიმართ, რომლებიც ბრძოლით პოულობენ ან მოიპოვეს თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

უშიშროების საბჭომ, განაცხადა დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა, უნდა დაგმოს საფრანგეთის მოქმედება, როგორც აქტი აგრესიისა ტუნისის წინააღმდეგ და მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დარღვევა.

ლიბერიის წარმომადგენელმა ნატან ბერნსმა განაცხადა, რომ მისი მთავრობისათვის გასაგებია ტუნისის მისწრაფება გაათავისუფლოს თავისი ტერიტორია უცხოელთა ჯარებისაგან.

სიტყვა მეორედ აიღო ტუნისის წარმომადგენელმა. მან მოიყვანა უკანასკნელი ცნობები საფრანგეთის ჯარების მხეცობის შესახებ, რომელნიც მშვიდობიანი სოფლების წინააღმდეგ იყენებენ ნაპალმს, ხოცავენ ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს.

საფრანგეთის დელეგატი ლიტონი სიტყვით ცდილობდა „უარეყო" ეს ფაქტები. მან ბუნდოვნად განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ტუნისთან სადავო საკითხთა მოსაწესრიგებლად.

იქნება თუ არა ამ მოლაპარაკების საგანი ბიზერტიდან და ტუნისის მთელი ტერიტორიიდან საფრანგეთის ჯარების სრული გაყვანის საკითხი, იკითხა საბჭოთა დელეგატმა. მის კითხვაზე პასუხი არ გაუციათ.

უშიშროების საბჭოს სხდომა ამით დამთავრდა.




სახიფათო თამაში ცეცხლთან. ნახატი გ. ლომიძისა.

# დაპატიმრებანი თეირანში

**ლონდონი**, 21 ივლისი, (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, დღეს განთიადზე მომხდარი თავდასხმის დროს უშიშროების პოლიციამ დააპატიმრა „ეროვნული ფრონტის" პარტიის ლიდერები.

პოლიციამ ხელთ იგდო „ეროვნული ფრონტის" კლუბი, მისი მთავარი ბინა და დააყენა დაცვა.

ეს მოქმედება განხორციელდა იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ დემონსტრაცია, რომლის მოწყობასაც „ეროვნული ფრონტი" აპირებდა დღეს, მაგრამ რომელიც აკრძალა მთავრობამ.

დღეს თეირანში გამოცხადებულია განგაშის მდგომარეობა. პოლიციის ძალები, მათ შორის სამხედრო პოლიცია, სატვირთო მანქანებითა და ჯიპებით პატრულობენ ქალაქის ყველა რაიონში.

ფოლადის მუზარადიანი ჯარისკაცები ჩამოცმული ხიშტებით, მძიმე ტანკები, ჯავშანავტომობილები და ცხენოსანი პოლიცია განლაგებულია იპოდრომზე, სადაც უნდა გამართულიყო დემონსტრაცია.

ჯარები ჩამწკრივებულია საბრძოლო წესით. მათ ნაბრძანები აქვთ ესროლონ დემონსტრანტებს, რომლებიც შეეცდებიან იპოდრომზე შესვლას.

დღეს დაპატიმრებულთა შორის არიან „ეროვნული ფრონტის" პრესის საკითხთა წარმომადგენელი ქეშავარზ სადრი, ახალგაზრდობის ხელმძღვანელი საიდ ფატემი, მოსადიკის (რომელიც 1954 წელს დახვრიტეს) მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ძმისწული ფატემი და „ეროვნული ფრონტის" ერთერთი ლიდერი შაპურ ბახტიარი.

წინა დღეს, 20 ივლისს, იუწყება კორესპონდენტი, დაპატიმრებული იყო „ეროვნული ფრონტის" აღმასრულებელი კომიტეტის ექვსი წევრი. მათ ბრალად ედებათ „ხალხის წაქეზება მღელვარებისა და არეულობისათვის".

ეს ექვსი კაცი, მათ შორის მოსადიკის მთავრობის ყოფილი მინისტრები, დააპატიმრეს „ეროვნული ფრონტის" იმ წევრთა საფლავის გვირგვინებით შემკობის დროს, რომლებიც 1952 წელს დახოცეს უშიშროების ძალებთან შეტაკებისას.

„ეროვნულმა ფრონტმა" გუშინ პრემიერ-მინისტრს ალი ამინის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აფრთხილებს, რომ ირანის მთავრობას დაეკისრება პასუხისმგებლობა დემონსტრაციის აკრძალვის ყველა შედეგისა და იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც უშიშროების ძალებმა განახორციელეს.

# ბიზერტაში სისხლი იღვრება

## ასობით მოკლული, დაჭრილი

**ნიუ-იორკი**, 21 ივლისი. (საკდესი). ბიზერტისათვის ბრძოლა ჩაღდება. ქუჩებში გრძელდება შეტაკებები. ბევრია მოკლული და დაჭრილი.

საფრანგეთის კოლონამ 80 ტანკისა და სატვირთო ავტომობილის შემადგენლობით არტილერიისა და ავიაციის დახმარებით დღეს დაიწყო შეტევა ტუნისის ჯარების პოზიციებზე ტუნისის სამხრეთ ნაწილში. საფრანგეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს ტუნისის გარნიზონი და სოფელი ბორჯი კარკუი, რომელიც სანახევროდ დანგრეულია რაკეტებით. სამოქალაქო მოსახლეობაში ბევრია მოკლული და დაჭრილი.

**ნიუ-იორკი**, 21 ივლისი. (საკდესი). ბიზერტისათვის ბრძოლა ჩაღდება. უცხოეთის სააგენტოების ცნობით, ათასობით ტუნისელმა გაიარა ტუნისის დედაქალაქის ქუჩებში და გაიძახოდა: „ბიზერტა ჩვენია!", „მოგვეცით იარაღი!"

ტუნისის მთავრობის წრეები აცხადებენ, რომ პრეზიდენტი ჰაბიბ ბურგიბა გეგმავს შექმნას მოხალისეთა ინტერნაციონალური ბრიგადა ბიზერტისათვის საბრძოლველად. ბიზერტიდან მიღებული ცნობებით, ტუნისელი ქვეითი ჯარისკაცები ბარიკადებს აგებენ გუბერნატორის რეზიდენციის გარშემო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ბიზერტის ქუჩებში გრძელდება ბრძოლები. ბევრია მოკლული და დაჭრილი.

როგორც ტუნის-აფრიკ პრესის სააგენტო იუწყება, ამჟამად ბიზერტის რაიონში სამოქალაქო მოხალისეთა რიცხვი აღწევს თითქმის 15 ათასს, ბევრი მათგანი პარტია „ნეო-დესტურის" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრია.

ტუნის-აფრიკ პრესის სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ საფრანგეთის კოლონამ 80 ტანკისა და სატვირთო მანქანის შემადგენლობით არტილერიისა და ავიაციის დახმარებით დღეს დაიწყო შეტევა ტუნისის ჯარების პოზიციებზე ტუნისის სამხრეთ ნაწილში. სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ დილის 4 საათზე ადგილობრივი დროით საფრანგეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს ტუნისის გარნიზონი და სოფელი ბორჯ კარკუი, რომელიც სანახევროდ დანგრეულია რაკეტებით. სამოქალაქო მოსახლეობაში ბევრია მოკლული და დაჭრილი.

**ლონდონი**, 21 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ტუნისის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტმა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთმა დაარღვია ჟენევის კონვენცია. საფრანგეთის ჯარები ტანკებისა და ტყვიამფრქვევების გამოყენებით ხვრეტავენ სამოქალაქო მოსახლეობას, ნათქვამია დეპეშაში. მათ მოუსპეს ბიზერტას სასმელი წყალი, რაც ეპიდემიების გაჩენის დიდ რისკს ქმნის.

# კუვეიტი მიიღეს ლიგის წევრად

**კაირო**, 21 ივლისი. (საკდესი)). არაბთა ქვეყნების ლიგის საბჭოს სხდომაზე გუშინ კუვეიტი მიიღეს ლიგის წევრად. საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ათი წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლები და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთვალყურე. არაბთა ქვეყნების ლიგაში კუვეიტის მიღებას ხმა მისცეს ლიგის ცხრა წევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა. ერაყის დელეგაციამ კენჭისყრის წინ დატოვა სხდომის დარბაზი.

ამ ორგანიზაციაში კუვეიტის მიღების გამო ლიგის საბჭოს დადგენილებაში წამოყენებულია მოთხოვნა, რომ კუვეიტმა იკისროს ვალდებულება მოითხოვოს თავისი ტერიტორიიდან ინგლისის ჯარების მალე გაყვანა.

**დასავლეთის** გავლენიანი წრეები უარს ამბობენ გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე სწორედ იმიტომ, რომ იციან, ასეთი ხელშეკრულების დადება დაბრკოლება იქნებოდა დასავლეთგერმანული იმპერიალიზმის შემდგომი აღორძინების გზაზე, ხოლო ხელშეკრულების საფუძველზე დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაცია **ჩააქრობდა დენთის კასრთან ანთებულ პატრუქს**. (გაზეთებიდან).

# ბუნდესვერი სამხედრო თვითმფრინავებს აგებს

**ბონი**, 21 ივლისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში გაშლილია სამხედრო თვითმფრინავების მშენებლობა. პრესა იუწყება, რომ სამხედრო აეროდრომიდან მიუნხენის ახლოს საცდელი გაფრენა მოაწყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აგებულმა „ფიატის" ტიპის პირველმა ბომბდამშენმა ავიაგამანადგურებელმა. ამ ტიპის თვითმფრინავების ერთობლივ მშენებლობას ახორციელებენ „მესერშმიტის", „ჰაინკელის" და „დორნიეს" ფირმები იტალიის ლიცენზიით. დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერმა შეუკვეთა 294 ასეთი თვითმფრინავი.

# ლორდი ჰიუმი შეშფოთებულია

**ლონდონი**, 21 ივლისი, (საკდესი). ინგლისის მთავრობამ საფრანგეთსა და ტუნისს მიმართა მოწოდებით შეწყვიტონ საომარი მოქმედება ბიზერტაში. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰიუმმა დღეს ლონდონში მიიღო საფრანგეთის ელჩი და გადასცა მას წერილი პრეზიდენტ დე გოლის სახელზე. ასეთივე წერილი გადაეცა დღეს ტუნისის ელჩს პრეზიდენტ ბურგიბასათვის.

პრესის ცნობით, ამ წერილებში ლორდი ჰიუმი გამოთქვამს ინგლისის მთავრობის შეშფოთებას ბიზერტაში შექმნილი მდგომარეობის გამო და მოუწოდებს ორივე მხარეს თავდაჭერილობა გამოიჩინონ.

გაზეთი „ივნინგ სტანდარტი" აღნიშნავს, რომ ინგლისი არ სთავაზობს თავის სამსახურს როგორც შუამავალი, რამდენადაც „ასეთი ნაბიჯი ადვილად შეიძლება შეურაცხყოფად მიიჩნია დე გოლს", გაზეთი ინგლისის მთავრობის დიპლომატიურ ნაბიჯს ხსნის იმით, რომ ინგლისის მთავრობის წრეებს ეშინიათ, რომ ბიზერტის ინციდენტი გამოიწვევს „აფრიკის საზოგადოებრივი აზრის განდგომას იმ მომენტში, როცა დასავლეთის სახელმწიფოები ეძებენ მეგობრებს ყველგან, სადაც კი შეუძლიათ იპოვონ, იმისათვის, რომ უზრუნველყონ მათი დიპლომატიური მხარდაჭერა ბერლინის გამო მომავალი კრიზისის დროს".

# ჟენევის თათბირზე

**ჟენევა**, 21 ივლისი. (საკდესი). ლაოსის შესახებ თათბირის მორიგ სხდომაზე ვიწრო შემადგენლობით განიხილეს საკითხი ლაოსის დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულის შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დეკლარაცია შედგენილ იქნება ხუთ ენაზე — რუსულ, ჩინურ, ფრანგულ, ინგლისურ და ლაოსურ ენებზე.

დღევანდელი სხდომა მიმდინარეობდა მ. მაკდონალდის (ინგლისი) თავმჯდომარეობით.

მორიგი სხდომა გაიმართება 24 ივლისს.

# რაკეტის კაბინა— ოკეანის ფსკერზე

**ნიუ-იორკი**, 21 ივლისი. (საკდესი). ამერიკის პრესა იუწყება დაწვრილებით ცნობებს რაკეტა „რედსტოუნის" გაშვების შესახებ, რომლის კაბინაშიც იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტანი ვირჯილ გრისომი და აღნიშნავს, რომ ეს გაფრენა თითქმის ზუსტი განმეორება იყო პირველი ამერიკელი კოსმონავტის ალან შეპარდის გაფრენისა. ამასთანავე ხაზგასმულია, რომ 16-წუთიანი გაფრენა 303 მილზე კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა გრისომისათვის.

წყალზე დაჯდომის დროს კოსმონავტიანი კაბინა გადაბრუნდა და იძირებოდა. „ჩვენ, — განაცხადეს კანავერალის კონცხზე გამართულ კონფერენციაზე გაფრენის ორგანიზატორებმა, — ზუსტად არ ვიცით, რა მოხდა ხომალდის დაშვების დათქმულ რაიონში. ჩვენ ვიცით, რომ კაბინის კარი ღია იყო, სანამ ვერტმფრენი მიუსწრებდა და კაბინა დაიწყებდა ჩაძირვას. პირველი ვერტმფრენი ცდილობდა კაბინის ამოთრევას, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან შიგ ბევრი წყალი დაგროვდა. როცა კაბინამ ჩაძირვა იწყო, გრისომს უნდა მიეტოვებინა იგი".

კაბინასთან ერთად რომ არ ჩაძირულიყო, ამისათვის გრისომმა გააღო კაბინის სათადარიგო ნახვრეტი, მხოლოდ ორი წუთის შემდეგ, როცა გრისომი გამოძვრა ჩაძირული კაბინიდან, იგი წაიყვანა მეორე ვერტმფრენავმა და მიიყვანა ავიამზიდ „ლენდორფზე".

უშედეგო აღმოჩნდა მთელი ცდები გადაერჩინათ კაბინა და აპარატურა, და ამჟამად იგი არის ატლანტის ოკეანის ფსკერზე 5.000 მეტრ სიღრმეზე.

# კინოფესტივალის ეკრანზე...

**9 ივლისს** ლენინის სახელობის სპორტის სასახლეში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოსკოვის მე-2 საერთაშორისო კინოფესტივალი, დაიწყო კინოხელოვნების დიდი აღლუმი, რომელშიც ოფიციალურად 50-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობს, აგრეთვე სხვადასხვა ცალკეული ორგანიზაციები და კერძო კინომწარმოებლები.




კადრები კინოსურათ „შიშველი კუნძულიდან".

მსოფლიო იცნობს საერთაშორისო კინოფესტივალთა ტრადიციულ ქალაქებს: ვენეციას, ედინბურგს, კანს, კარლოვი ვარს, სან-ფრანცისკოს... შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ თავისი მასშტაბით ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება მოსკოვის მე-2 კინოფესტივალს. დღეს მოსკოვისაკენ არის მიპყრობილი მსოფლიო კინოსაზოგადოების ყურადღება. ამაყად ჟღერს ფესტივალის ლოზუნგი: „ჰუმანიზმისათვის კინოხელოვნებაში! ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისათვის!" — ყველა ელის ახალი საინტერესო კინოფილმების გამოჩენას, დარწმუნებული ვართ, მათს მხატვრულ დონესა და წარმატებას ფესტივალის ბოლოს ობიექტურად აღნიშნავს მეტად ავტორიტეტული ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან ცნობილი მოღვაწეები: ლუკინო ვისკონტი (იტალია), ლეონ მუსინაკი (საფრანგეთი), ფრანსისკო პინა (მექსიკა), ეჟი ტეპლიცი (პოლონეთი), ზალტან ვარკონი (უნგრეთი), სერგეი იუტკევიჩი და სერგეი გერასიმოვი (სსრკ), ხუან განი (ჩინეთი) და სხვ.

ჯერჯერობით ძნელია კინოფესტივალზე საბოლოო დასკვნების გამოტანა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ფესტივალი მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად მიმდინარეობს. ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ ფესტივალზე უკვე დემონსტრირებული კინოფილმები, როგორიც არის **„დღეს ღამით დაიღუპება ქალაქი"** (პოლონეთი), **„მოჩვენებები შპესსარტის ციხე-კოშკში"** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), **„დიდი ოლიმპიადა"** (იტალია), **„პროფესორი მამლოკი"** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და, რა თქმა უნდა **„შიშველი კუნძული"** (იაპონია).

**„შიშველი კუნძული"** იაპონიის კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებია (სცენარის ავტორი და რეჟისორია კანეტო სინდო, ოპერატორი — კუროდა, კომპოზიტორი — ხოკარუ ხაიასი, მთავარ როლებს ასრულებენ ნობუკო ოტოვა, ტონოიამა, ტონაკა, ხორიმოტო. მთელი მოქმედება მიმდინარეობს განმარტოებულ პატარა კუნძულზე, ოთხ ადამიანს შორის, რომლებიც არსებობისათვის ყოველდღიურ ბრძოლას ეწევიან მიწასთან. ფილმი გადაღებულია ისე, რომ სურათის მსვლელობის დროს არ არის არც ერთი სიტუაცია, რომელიც აუცილებელს ხდიდეს მოქმედი გმირის ალაპარაკებას. რა არის ეს? ფორმალურად დასმული ამოცანა, რომ რეჟისორმა ასეთი ორიგინალობით გააკვირვოს დღევანდელი მაყურებელი, რომელიც მიჩვეულია ეკრანიდან გრძელი დიალოგების მოსმენას, თუ ფილმში დაყენებული სოციალური პრობლემის გადაწყვეტა და მისი მხატვრული გამოხატვა? ამისათვის, ჩემი აზრით, კარგი იქნება მოვუსმინოთ ფილმის რეჟისორსა და სცენარისტს კანეტო სინდოს: „მე დავიბადე გლეხის ოჯახში და ჩემი თვალით ვნახე ჩემი მშობლების მძიმე შრომა. დღემდე არ შემიძლია დავივიწყო დედაჩემი. მუდამ მოღუნული მძიმე ტვირთის ქვეშ, რომელსაც ზურგით ატარებდა — იგი სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში. მე მინდოდა როგორმე კინოენით მომეთხრო მიწასთან გლეხების ბრძოლაზე. მაგრამ შეუძლებელია სიტყვებით გამოხატო ის უსიტყვო ბრძოლა, რომელსაც გლეხები ეწევიან სტიქიასთან. დედაჩემს სიკვდილამდე ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია თავის მძიმე ხვედრზე. მიწასთან ამ უსიტყვო ბრძოლის პათოსმა შემიპყრო და ჩავიფიქრე უსიტყვო დრამა, უდიალოგოდ. განა არა სჯობს ასე გამოხატო გრძნობა გლეხებისა, გრძნობა, რომელზეც ძნელია სიტყვებით ლაპარაკი. ამგვარად, როდესაც ფილმს ვქმნიდი, მე არ ვეძებდი ორიგინალობას", მე ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია. ფილმი „შიშველი კუნძული" არის შესანიშნავი პოემა ადამიანზე, მის მუდმივ ბრძოლასა და შრომაზე, ეს არის პოემა, რომელიც მიუხედავად მთელი თავისი დრამატიზმისა, ჟღერს მეტად ოპტიმისტურად და ჩვენ გვჯერა, დადგება დღე თავისუფლებისა, როდესაც იაპონელი გლეხიც გაიმართება წელში. დღეს კი მძიმეა მშრომელი კაცის ხვედრი იაპონიაში. აი ოჯახი უკაცრიელ კუნძულზე... ცოლ-ქმარი, ორი ბავშვი. მიწა მწირი და ქვიანი, გარშემო თვალუწვდენელი სივრცე წყლისა. მაგრამ ეს ხომ ზღვაა, წყალი კი, რომელიც გაახარებს და მთელი დღეობით თაკარა მზის ქვეშ მომუშავე კაცს წყურვილს მოუკლავს, შორს არის მეორე კუნძულზე... ჯერ ისევ ღამეა, გვესმის ზღვის ტალღებზე ნიჩბების ტყლაშუნი და ვხედავთ ნავში ორი მკაცრი სახის ადამიანია. ახალგაზრდა ქალი და საშუალო ხნის მამაკაცი..., არც მუსიკა, არც სიტყვა. სმენას მხოლოდ ზღვის, ნიჩბების ტყლაშუნის შემდეგ დიდ კასრებში ჩასხმული წყლის ხმაური არღვევს... ინათა..., ბავშვებთან შეხვედრა... საუზმე... ისევ ნავი და ისევ ზღვა..., ისევ წყლის ზიდვა..., მერე გვალვისაგან გამომშრალი, გამოფიტული მიწა, გველეშაპივით ხარბად რომ ყლაპავს სიმწრით მოზიდულ წყალს...,

სურათის შემქმნელმა კანეტო სინდომ თქვა: „სულიერი ძალა ეხმარება გლეხობას ბრძოლისაკენ, რომელსაც ისინი გასაოცარი შეუპოვრობით ეწევიან მიწასთან. ისინი ცხოვრობენ მზესთან, ქართან და სტიქიასთან ერთად!" კარგი და ჰქვიანური სიტყვებია. ჩვენ ინტერესით გავიგეთ, რომ ფილმ „შიშველი კუნძულის" სცენარის წერას სინდომ ხუთი წელიწადი მოანდომა, ფილმის გადაღებას კი სამი წელიწადი დასჭირდა. შემოქმედებითი მღელვარებით სავსე წლებს ფუჭად არ ჩაუვლია. „შიშველი კუნძული" იაპონური პროგრესული კინემატოგრაფიის დიდი გამარჯვებაა.

საინტერესო ნამუშევრით წარდგა საერთაშორისო ჟიურის წინაშე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ფილმი **„პროფესორი მამლოკი"** (სცენარის ავტორები კონრად ვოლფი და კარლ-გეორგ იგელი. ოპერატორი ვერნერ ჰაინცი. მთავარ როლებში: ურსულა ბურგი, ვოლფგანგ ჰაინცი, დორის აბესერი). მაყურებელს ემახსოვრება გერმანელი დრამატურგის ფრიდრიხ ვოლფის პიესის პირველი ეკრანიზაცია, რომელიც საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს. დღევანდელი დადგმა ეკუთვნის კინოსტუდია „დეფას" შემოქმედებითს კოლექტივს რეჟისორ კონრად ვოლფის ხელმძღვანელობით, რომელიც შვილია დრამატურგ ფრიდრიხ ვოლფისა. კინოსურათი „პროფესორი მამლოკი" უსათუოდ ყურადღების ღირსია, უმთავრესად რეჟისორული თვალსაზრისით.

როგორც ვიცით, მოსკოვის პირველ კინოფესტივალზე 1959 წელს ოქროს მედალი ხვდა შემოქმედებითს კოლექტივს კინოფილმისა „ჩვენ ვუნდერკინდები ვართ" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). აღნიშნული ფილმის რეჟისორმა კურტ ჰოფმანმა, რომელიც გამოირჩევა თავისი პროგრესული იდეებით, ამჯერადაც გაახარა მაყურებელი. მის მიერ დადგმული ახალი ფილმი **„მოჩვენებები შპესსარტის ციხე-კოშკში"** წარმოადგენს მუსიკალურ კომედიას, რომელშიც მახვილი სატირული ფორმით სასტიკად არის გამათრახებული დღევანდელი ბონის მმართველი წრეების დამღუპველი პოლიტიკა.

ფედერაციული გერმანიის ფირმა „ფონოფილმიდან" კონკურსგარეშე წარმოდგენილია კინოსურათი **„ხიდი"**, რომელსაც უკვე დამსახურებული აქვს რამდენიმე საერთაშორისო პრემია (რეჟისორი ბერნარდ ვიკი, სცენარი — მიხეილ მანსფელდისა, ოპერატორი — გეორგ ბონინი). შეუძლებელია ამ კინოსურათს ადამიანმა უყუროს გულდამშვიდებით, ეს არის ფილმი, რომელიც მთელი თავისი მგზნებარებით მიმართულია ომის წინააღმდეგ. კინოფილმს საფუძვლად უდევს იმავე სახელწოდების ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები. ფილმი მოგვითხრობს შვიდ ახალგაზრდა გერმანელზე, რომლებიც ომის უკანასკნელ დღეებში მოაშორეს მერხებს და თავი უკრეს ჯარში.

საინტერესოდ გამოიყურებიან პოლონური კინოხელოვნების ოსტატები, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა პოლონურმა ფილმებმა: **„გემის დაბადება"** (დოკუმენტური ნარკვევი) და მხატვრულმა კინოსურათმა **„დღეს საღამოს დაიღუპება ქალაქი"** (რეჟისორი ი. რიბკოვსკი, სცენარის ავტორები ლ. კრუჩკოვსკი და ი. რიბკოვსკი, მთავარ როლებში: ანდჟეი ლაპიცკი, ბეატა ტიშკევიჩი). ფილმის მოქმედება ხდება მსოფლიო ომის უკანასკნელ დღეებში და მოგვითხრობს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან გაპარულ ტყვე პოლონელზე, რომელიც დრეზდენში მოხვდება, იგი მოწმე ხდება იმ დიდი ტრაგედიისა, დრეზდენს რომ დაატყდა ამერიკის ავიაციის მხეცური დაბომბვის შედეგად.

მეტად საკამათო ფერებში წარმოგვიდგინეს ინგლისელებმა თავიანთი საამაყო მწერალი ოსკარ უაილდი. **„ოსკარ უაილდის სასამართლო პროცესი"** — ასე ეწოდება ფილმს, რომლის რეჟისორი და სცენარისტია კენ ჰიუზი. ვერც პროფესიულად გამართულმა სცენარმა, ვერც ოპერატორ მურის კარგად გადაღებულმა ფერადმა კადრებმა, ვერც შესანიშნავი მსახიობის პიტერ ფინჩის შთაგონებულმა თამაშმა ვერ გაამართლა ავტორების მიერ აღებული გეზი, რომელიც ზნეობრივ თავისუფლებას და გატაცებას ქადაგებს..., ფილმის გარეთ დარჩა მწერლის ნამდვილი ტრაგედია.

მოსკოვის კინოფესტივალზე, სადაც საქმიანი და ნამდვილი მეგობრული ატმოსფეროა გამეფებული, ცხოველი ინტერესით სარგებლობს იმ ქვეყნების ნაწარმოებები, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ კინემატოგრაფიის რთული ხელოვნების ათვისებაში. ესენი არიან: კუბა, მალი, დაგომეა, ცეილონი, ერაყი, გვინეა... ბუნებრივია, ამ ქვეყნების ნაწარმოებებში დიდი ადგილი უჭირავს ყველა იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას, რაც იქ ხდება ამჟამად. ამ ნამუშევართა დიდი ნაწილი ჯერჯერობით ვერა დგას მაღალ პროფესიულ დონეზე, მაგრამ ისინი როგორც ბავშვის პირველი ნაბიჯები, სიხარულის გრძნობას იწვევენ ყოველი ქეთილი ნების ადამიანის გულში.

ჯერ კიდევ წინ არის მრავალი საინტერესო შეხვედრა და კამათი უცხოელ კინემატოგრაფისტებთან, რომელთა შორის ზოგიერთი შეიძლება არ გვეთანხმებოდეს პოლიტიკურ მრწამსში, მაგრამ იმათაც კარგად უნდა ესმოდეთ ის საპატიო მისია, რომელიც დღეს აკისრია კინოხელოვნების ყოველ ოსტატს ხალხთა შორის ჰუმანიზმისა და მშვიდობის დიადი იდეების დანერგვაში.

**რეზო ჩხეიძე.**

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი.

მოსკოვი, 20 ივლისი.



**სურათზე:** ხიროსიმელ განიარაღების მომხრეთა კოლონა მიემართება ტოკიოსაკენ, სადაც აგვისტოში გაიმართება მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირაო გვერდი კომუნისტი

# ოპერა ლეგენდარულ ხუროთმოძღვარზე

**ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ** საბჭოთა კომპოზიტორის **შ. მშველიძის** ყოველ ნაწარმოებს დიდი ინტერესით ხვდება ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა. ეს მისი ნაწარმოებების მხოლოდ მაღალი მხატვრული ღირსებებით არ არის გამოწვეული. შ. მშველიძის შემოქმედებისადმი ინტერესს მნიშვნელოვნად განაპირობებს ისიც, რომ კომპოზიტორს თავიდანვე ახასიათებდა მისწრაფება დიდი საზოგადოებრივი პრობლემებისადმი, რისთვისაც შთაგონების წყაროს ეძებდა ქართული ლიტერატურის უკვდავ ძეგლებში. ასე შექმნა მან თავისი შესანიშნავი სიმფონიური პოემები „ზვიადაური“ და „მინდია“, რომლებშიც პირველად ქართულ სიმფონიურ მუსიკაში აამეტყველა ვაჟას უკვდავი მხატვრული სახეები. ამავე მისწრაფებათა გამოძახილია მისივე პირველი ოპერა „ამბავი ტარიელისა“, რომელსაც საფუძვლად დაედო რუსთაველის გენიალური პოემა.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია შ. მშველიძის ახალმა ოპერამ **„დიდოსტატის მარჯვენამ“**, რაც ერთი მხრივ განაპირობა იმან, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კომპოზიტორი კვლავ დაუბრუნდა საოპერო ჟანრს და ამასთან პირველად ამ ოპერაში მოხდა ჩვენი დიდი მწერლის **კონსტანტინე გამსახურდიას** მხატვრული სახეების ამეტყველება მუსიკალურ ენაზე.

კ. გამსახურდიას სახელგანთქმული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ შეიცავს მდიდარ მასალას ოპერისათვის. ლიბრეტოს ავტორის ნ. ძიძიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი სიძნელეებს. მისი

### შ. მშველიძის ახალი ოპერის „დიდოსტატის მარჯვენის“ დადგმის გამო

ლიბრეტო დრამატურგიულად სხარტად არის შეკრული, მასში შეძლებისდაგვარად გადმოცემულია რომანის ძირითადი ტენდენციები, სიუჟეტური ხაზი მოხდენილად არის მოხაზული და კარგად არის გაშლილი საოპერო დრამატურგიის სპეციფიკის გათვალისწინებით. ლიბრეტოში არის სადავო მომენტებიც, ზოგან ვხვდებით გადახვევებს რომანიდან, მაგალითად მნიშვნელოვანი ტრანსფორმირება განიცადა ფარსმანისა და გიორგის სახეებმა, მაგრამ ეს ნაწილობრივ საოპერო დრამატურგიის სპეციფიკით არის ნაკარნახევი და ლიბრეტოს სერიოზულ ნაკლად არ ჩაითვლება.

ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“ შ. მშველიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მისი მუსიკა გამოირჩევა იშვიათი სტილისტური მთლიანობით, თვითმყოფობით. ოღონდ ავტორს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ნაწარმოებში აშკარად იგრძნობა დინამიური კონტრასტების ნაკლებობა, მუსიკა თითქმის თავიდან ბოლომდე ნელ, აუჩქარებელ ტემპში მიედინება.

მუსიკალური ენა ოპერისა უაღრესად ეროვნულია, ხალხურია და აღბეჭდილია ორიგინალური შემოქმედების ნიშნით. შ. მშველიძე აქაც მეტყველებს თავისებური „მშველიძისეული“ ენით, უმთავრესად ეყრდნობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ფოლკლორს, მთაში შემორჩენილ უძველეს კილოკავებს, არქაულ ინტონაციებს, უნარიანად ამუშავებს მათ და ქმნის თავისი გმირებისათვის ორიგინალურ მუსიკალურ ენას, რომელიც შეესატყვისება კონსტანტინე გამსახურდიას რომანის ლიტერატურულ სტილს.

ოპერის მუსიკის ყველაზე ძლიერ მხარეს მასობრივი სცენები შეადგენს. სახალხო-საგუნდო ეპიზოდები დაწერილია ჭეშმარიტად ორატორიული გაქანებით, აღბეჭდილია დიდი შემოქმედებითი ძალით. ეს პირველ რიგში უნდა ითქვას ბრწყინვალე ფხოვურ სცენებზე და კერძოდ მესამე მოქმედებაზე, რომელიც დრამატურგიული მთლიანობითა და მუსიკალურ-მხატვრული ღირსებებით ერთ-ერთი საუკეთესოა ქართულ საოპერო ლიტერატურაში.

ემოციური ზემოქმედების დიდი ძალით არის აღბეჭდილი სხვა მასობრივ-საგუნდო ეპიზოდებიც; ამაღლებული სამგლოვიარო ლირიკის იშვიათი ნიმუშია ქორალი მესამე სურათიდან — „ვაიმე, დიდო ბატონო“, რომელიც გასაოცარი შინაგანი სისპეტაკით და ჭეშმარიტი ტრაგედიული ექსპრესიით გამოირჩევა. საგუნდო ფაქტურის ოსტატის ხელი ატყვია ოპერის სხვა ეპიზოდებსაც, მათგან უნდა გამოიყოს ქორალური გუნდი ოპერის მეოთხე აქტიდან.

საგუნდო ეპიზოდების სიმრავლე და მასობრივი სცენების სიძლიერე ძირითადად განსაზღვრავს ოპერის მუსიკალურ დონეს და მის ჟანრულ თავისებურებას — ოპერას აახლოებს სახალხო მუსიკალურ დრამასთან.

მეფე გიორგის, არსაკიძის, შორენასა და ფარსმანის სახით შ. მშველიძემ შექმნა საინტერესო მუსიკალური პორტრეტები, რომლებიც დაახასიათა მრავალი სოლო და სანსამბლო ეპიზოდით, მათგან მუსიკალური ღირსებებით ყურადღებას იქცევს გიორგის არია, შორენასა და არსაკიძის დუეტი II მოქმედებიდან, შორენასა და არსაკიძის გამოსათხოვარი არიები.

და მაინც უნდა ითქვას, რომ მთავარი გმირები მუსიკაში ვერ არის გამოკვეთილი სასურველი რელიეფურობით, ამასთან სოლო ეპიზოდებს აკლია ვოკალური მღერადობა, ინტონაციური სიმახვილე, მელოდიური მოქნილობა, რასაც განსაკუთრებით აფასებს ფართო მსმენელი.

ოპერაში ჯერ კიდევ არის გაჭიანურებული ეპიზოდები, იგრძნობა დიალოგების სიჭარბე, მრავალსიტყვაობა, რაც მით უფრო შესამჩნევი ხდება, რომ ოპერის რეჩიტატიული ეპიზოდები ვერ გამოირჩევიან მაღალხარისხოვნებით და ამ აზრით იგი იზიარებს სხვა ქართული საბჭოთა ოპერების ბედს.

დასანანია, რომ შ. მშველიძის — ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა სიმფონისტის ოპერაში მცირე ადგილი დაეთმო საორკესტრო ეპიზოდებს; ოპერას არა აქვს შესავალი და არც პროლოგი ან ეპილოგი, რაც ასეთი ჟანრის ნაწარმოებში მოსალოდნელი იყო. ყოველ შემთხვევაში ოპერაში უნდა ჟღერდეს ცნობილი ხალხური სტრიქონები, რომლითაც ხალხმა უკვდავყო დიადი ტაძრის ლეგენდარული შემოქმედი.

ეს სტრიქონები ხომ მწერალმაც ეპიგრაფად წარუმძღვარა თავის რომანს.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** საოპერო თეატრის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა „დიდოსტატის მარჯვენის“ დადგმას და შექმნა საინტერესო საოპერო სპექტაკლი.

ქების ღირსია რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილის ნამუშევარი. განსაკუთრებით მაღალი ხელოვნებით არის გადაწყვეტილი მასობრივი სცენები, III და IV მოქმედება და I აქტის ფინალი. მაგრამ სპექტაკლი შემდგომ დახვეწას საჭიროებს, გადატვირთულია უსარგებლო დეტალებით. უსაფუძვლოდ არის 5 სურათად დანაწევრებული ოპერის პირველი ორი აქტი. განა არ შეიძლება ხევისბერთა თათბირი, არსაკიძე-შორენას სცენა და მეფის მიღება ერთსა და იმავე დარბაზში მიმდინარეობდეს, რომელსაც იქვე საზეიმოდ მორთავენ და გააჩირაღდნებენ მეფის შესახვედრად. ზედმეტია ჯვრის მოწამვლის სცენა.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ფართო ეპიკური ტილოა, მასში მოქმედება ვითარდება მდორედ, ამიტომაც ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობა არღვევს სპექტაკლის მთლიანობას, ეწინააღმდეგება მუსიკის სტილს, ხოლო ხშირი შესვენებები ადუნებს სპექტაკლს, ანელებს ემოციური ზემოქმედების ძალას. რეჟისორი რატომღაც ფიქრობს, რომ გუნდი აუცილებლად უნდა იდგეს წინასწარ დაწყობილი და ისე იწყებდეს სიმღერას; ამისათვის ქრება შუქი და იწყება სცენაზე სირბილი, წრიალი (II მოქმედება — მუშების გუნდი). განა უფრო მიზანშეწონილი არ არის, რომ გუნდი ბუნებრივად შემოდიოდეს. ასევე უხერხულად არის დანაწილებული I და II სურათი (ფარსმანის გასვლა-არსაკიძის შემოსვლა). ჩვენი აზრით, სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლება არა მარტო I და II მოქმედების არამედ IV მოქმედების სურათების გაერთიანება, რითაც სპექტაკლი შეიკვრება, გახდება უფრო დინამიკური, მთლიანი.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით სპექტაკლის ამ ხარვეზზე; საერთოდ ამ ბოლო ხანს ჩვენს საოპერო თეატრში დამკვიდრდა ოპერების ცალკეული აქტების სურათებად დანაწილების ტენდენცია. ამის ყველაზე ნათელი ნიმუშია „აბესალომ და ეთერის“ უკანასკნელი დადგმა, რომელშიც რეჟისორმა ბ. თუმანიშვილმა გამოიჩინა უსარგებლო ორიგინალობა და წვრილმანი უმნიშვნელო მოტივებით რამდენიმე სურათად დაანაწილა ოპერის IV აქტი.

თეატრალური ხელოვნება პირობითი, სცენური სიმართლით ცოცხლობს და თავისებურად, პირობითად არის ცხოვრებისეული. იგი სრულიადაც არ მოითხოვს სინამდვილის ზუსტ ასლს, ნატურა-



ო. კუზნეცოვა (შორენა)



ს. ტორელი (არსაკიძე)



ბ. კრაველიშვილი (გიორგი მეფე)

* * *

ლისტურ მოტივირებას. ხოლო თეატრალური ხელოვნების მუსიკალური ჟანრი — ოპერა-ბალეტი თავის საფუძველშივე ბევრად უფრო პირობითია და სპეციფიკური, ვიდრე დრამა. მაგრამ ახალი თანამედროვეობის შესაფერისი ხერხებისა და ფორმების ძიება ოპერასა და ბალეტში (განსაკუთრებით ჩვენს თეატრში) ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს კარგი მხატვრული გაფორმება. ქ. კუკულაძისა და ი. სუმბათაშვილის მხატვრობაში იგრძნობა ეპოქის სული. სიდიადით ამართულია სცენაზე სვეტიცხოველი — ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების უბადლო ძეგლი. მოხდენილია ფხოვური კოსტიუმებიც, რისთვისაც მხატვრებმა უნარიანად გამოიყენეს კოლორიტული ხევსურული ტალავარი განთქმული ორნამენტებით, მაღალმხატვრული ქარგულობით. მაგრამ სასურველი იყო სხვა კუთხეთა სამოსის თავისებურებათა გათვალისწინებაც.

ახალი ძალით გამოავლინა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი თეატრის გუნდმა (ხელმძღვანელები ელ. ტერიშვილი და გ. ბუხრიკიძე), რომელმაც შთაგონებული შესრულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სპექტაკლის წარმატებაში. ჩვენი აზრით, „დიდოსტატის მარჯვენა“ თეატრის საგუნდო კოლექტივის უკანასკნელი პერიოდის საუკეთესო ნამუშევარია.

გაცილებით ნაკლებია ოპერაში ცეკვების როლი; მათგან წარმატება ხვდა ეფექტურ ფარიკაობას III აქტში (დამდგმელი ს. ნონიაშვილი).

მთავარი პარტიების შემსრულებლებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბ. კრაველიშვილი, რომელმაც მეფე გიორგის როლში ახალი შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა. მომღერალს დიდი ხელოვნებით მიჰყავს რთული პარტია, რისთვისაც პოულობს მოხდენილ მხატვრულ-ვოკალურ ფერებს, სხარტ ნიუანსებს და ამასთან აქტიორულადაც საუცხოოდ განასახიერებს მრისხანე მეფის, ლომგული ვაჟკაცისა და უიმედოდ შეყვარებული მიჯნურის ტრაგიკულ სახეს. რამდენადმე უფერულია ამავე როლში შ. კიკნაძე, თუმცა მისი გიორგი არ არის მოკლებული ერთგვარ მომხიბვლელობას.

**ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ** ასრულებენ შორენას პარტიას ო. კუზნეცოვა და თ. თაქთაქიშვილი. პირველი გვიხიდავს გულწრფელობით, სიფაქიზით, ლირიზმით. მეორეს კი პარტია მიჰყავს უფრო ექსპრესიულად და დრამატიზმით. ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება უკანასკნელ არიოზოში, როცა შორენა მიჯნურის გვამს დამხობილი ესალმება სიცოცხლეს.

არსაკიძის როლის შემსრულებლებმა ს. ტორელმა და კ. მაღრაძემ შექმნეს საყურადღებო მხატვრული სახეები, თუმცა არსაკიძის პარტია მეტ დრამატულ ძლერადობას მოითხოვს.

წარმატებით განასახიერეს ცბიერი ფარსმანის როლი თ. მუშკუდიანმა და ი. შუშანიამ. შთამბეჭდავია აგრეთვე ლ. გოცირიძის და ე. ხიჯაკაძის დედა.

აღნიშვნის ღირსია სხვა როლების შემსრულებლები: ვ. ხამაშურიძე (მამამზე), ლ. არაქელოვი და ნ. ჯაფარიძე (შავლეგი), ვ. კანდელაკი (დამწყები), შ. ვაშალომიძე და გ. ტორონჯაძე (კათალიკოსი), შ. თაბუკაშვილი და შ. მეძველია (ხევისბერი), ო. კუზმინი (ზვიადი).

დირიჟორ ო. დიმიტრიადის სპექტაკლი მიჰყავს დიდი შინაგანი სიმძაფრით, აღმაფრენით. განსაკუთრებულ ემოციურ აღმავლობას აღწევს დირიჟორი მასობრივ სცენებში III და IV აქტებში: მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგან დირიჟორი ანგარიშს არ უწევს ამა თუ იმ სოლისტის შესაძლებლობებს და ორკესტრი ფარავს მომღერალს, ირღვევა ანსამბლი. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ხდება შედარებით მშვიდ, ლირიკულ ეპიზოდებში.

ამ წერილში ყურადღება საგანგებოდ გავამახვილეთ ოპერისა და სპექტაკლის ჩრდილოვან მხარეებზე და ამან არ უნდა შეგვიქმნას არასწორი წარმოდგენა ნაწარმოებზე. ჩვენი აზრით, ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“ ქართული მუსიკის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს და ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მუსიკალური ღირსებების მქონე საოპერო ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა მუსიკაში. მით უმეტეს, დამდგმელი კოლექტივის პირდაპირი მოვალეობაა ავტორებთან ერთად განაგრძოს მუშაობა სპექტაკლის დახვეწასა და სრულყოფაზე.

**ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ.**



ბიჭი და ზღვა.

ფოტოეტიუდი ო. არობელიძისა.

## უცხოური იუმორი



□ საავადმყოფოს ეზოში ორი ექიმი საუბრობს. მათ გვერდით მშვენიერმა ექთანმა ქალმა ჩაიარა.

— რა შესანიშნავი ფეხები აქვს, არა? — შენიშნა ერთმა.

მეორემ მხრები აიჩეჩა:

— არ შემიძლია ამაზე რაიმე აზრი გამოვთქვა. მე ყელ-ყურის სპეციალისტი ვარ.

□ — ბატონო პროფესორო, — მიმართა ერთმა ახალგაზრდამ ბილროტს, — რატომ ხდება, რომ ალკოჰოლი ახალგაზრდებს თავში უჯდებათ, ხანშიშესულებს კი მუხლებში.

— სრულიად უბრალოდ, — მიუგო ბილროტმა, — ალკოჰოლი ყოველთვის ეძებს სუსტ ადგილს.



□ — მე მყავს ბუხჰალტერი, რომელსაც ჩემთან მუშაობაში თმა გაუთეთრდა.

— ეს რაა! მე მყავს მდივანი ქალი, რომელსაც ჩემთან მუშაობაში თმა ჯერ ქერა გაუხდა, შემდეგ მუქი ლურჯი, ბოლოს კი წითელი.

□ — ეს საშინელებაა, ლოლიტა, — გაუწყრა მამა ქალიშვილს, — დღეს ჩვენთან ოთხი ახალგაზრდა იყო შენ სათხოვნელად. როგორ დაუშვი ეს?

— ახ, — წამოიძახა ქალიშვილმა, — მე ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ უფრო ფართო არჩევანი გქონოდათ, მამა.

□ ფრანც, რომელ კლასში ხარ ახლა?

— მესამეში.

— აბა მითხარი, ვინ არის თქვენს კლასში ყველაზე ლონიერი, ვინ ერევა ყველას?

— ჩვენი მასწავლებელი.

თარგმნა **ს. გელაშვილმა.**

## იშვიათი ოპერაცია

**ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ** ამბროლაურის რაიონულ საავადმყოფოში მოიყვანეს სოფელ ლიხეთის მცხოვრები ტყისმჭრელი დუტუ ბეშიძე, რომელსაც მძიმე ხის დარტყმისაგან თავის ქალა ჰქონდა ჩატეხილი და უგრძნობლად იყო.

ახალგაზრდის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა ვარლამ ქოქოსაძემ იკისრა სასწრაფო ოპერაცია გაეკეთებინა. დასტაქარმა დაშავებულს ახადა თავის ქალა, ტვინის ზარსი გაწმინდა შედედებული სისხლის, თმისა და ძვლის ნამსხვრევებისაგან. ავადმყოფი გრძნობაზე მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა. დ. ბეშიძე ახლა თავს კარგად გრძნობს.

ვ. ქოქოსაძე 25 წელია ქირურგად მუშაობს. მან განაცხადა, რომ მისი მუშაობის პერიოდში ასეთი შემთხვევა მეორე იყო და ორივემ კარგად ჩაიარა.

**ა. კერესელიძე.**

## ფელეტონი

# დაფნოსნები

**ᲘᲪᲘ**, ქალო, რომ წინათ დიდ ადამიანებს უკვდავების ნიშნად დაფნის გვირგვინს ადგამდნენ თავზე?... უთხრა სილოვან ფარცვანიამ მეუღლეს და გააოცა.

— აბა, ჩემო სილოვან, — გაბმით წამოიწყო მარგომ, — ჩვენდენი დაფნა ვისა აქვს, დევიწნათ გვირგვინები, ჩამოვიცვათ თავზე და ხან აქეთ ვიაროთ და ხან იქით „უკვდავმა“ ცოლქმარმა. ერთი-ორი უკვდავების გვირგვინი ჩვენი სოფლის და რაიონის იმ პატივცემულ ამხანაგებსაც გოუკეთოთ, რომლებმაც საჭირო ცნობები მოგვცეს და ხავაჭროდ ხელი შეგვიწყეს! ...კი, მაგრამ რათ უნდოდათ იმ გამოჩენილ და ნასწავლ ხალხს ეს დაფნის გვირგვინი, უფრო ძვირფასი ვერაფერი იშოვნეს?

შეკითხვამ ცოტა არ იყოს დააბნია სილოვანი, მაგრამ მაინც აბორძიკდა:

— მმმ.. რაც შეეხება ფასს, ეტყობა დაფნა მაშინაც ძვირად ფასობდა... რა ღირდა ვერ გეტყვი! ნამდვილად ვიცი, რომ აკაკი წერეთელს დაფნის გვირგვინი მისცეს, მაგრამ მერე გაყიდა თუ არა ეს დაფნა, ნამდვილად არ ვიცი...

— იცოდე, სილოვან, რუსეთში ნახიარულები კაცი იყო და ნამდვილად გაყიდდა!.. — ტაში შემოკრა მარგომ.

...ამ სასიყვარულო საუბარში იყვნენ ულლის გამწევნი, როსტოვის ოლქის ქალაქ შახტის ბაზარში რომ შევიდნენ. ადგილი ვერ იპოვნეს, სანაგვე ურნაზე დადეს ხის ყუთი და ფურცელ-ფურცელ დაიწყეს დაფნის გაყიდვა.

— ჩვენებური ხარ?.. გენაცვალე!.. — ჩემ დანახვაზე სამშობლოს სიყვარულმა იფეთქა მარგოს გულში.

— ა შენ ერთი ფოთოლი დაფნა!

— დაფნა რათ მინდა? — შევძრინე სიბრაზისაგან სახემოქცეულმა.

— ეს აქ ფულია, გენაცვალე — ამიხსნა სილოვანმა, და ხელი ისე ამაყად გამომიწოდა, გეგონებოდათ, ეს არის კოსმოსიდან დაბრუნდაო.

— ფარ-ცვანია! — რატომღაც ორად გაყო თავისი გვარი.

— კაცო, შენ, ფარი ხარ თუ ხანჯალი, აქ დაფნის გასაყიდად რამ ჩამოგიყვანა!

— გაჩუმდი, კორესპონდენტი არ იყოს! — გაუწყრა მარგო ქმარს, — მე ავუხსნი ამ ახალგაზრდას ყველაფერს. ჩემი მეუღლე, გენაცვალე, ავადმყოფია, აქაური ჰაერი უხდება. აქ ჰაერისათვის ვართ ჩამოსული. ეს დაფნა ისე, ხელს გამოვაყოლეთ, აბა ცარიელი ხომ ვერ ჩამოვიდოდით!

— ნუ გადამრევთ, რა კურორტი აქ ნახეთ! — წამოვიყვირე სიმწრით.

— რას ყვირი, ჩვენს მეტი ვერავინ ნახე ყმაწვილო? ჩვენებური ხალხით არის სავსე აქაურობა, და რაღა ჩვენ გვეცი, შე მამაგანათლებულიშვილო? — ფონეტიკურად ურთულესი სიტყვით დაამთავრა გამოსვლა ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის მკვიდრმა, ქალაქ შახტში სამკურნალოდ (?!) ჩამოსულმა ფარცვანიამ.

მართლაც იქვე, რუსულ ლაპარაკს მოვკარი ყური, მაგრამ ვაი ასეთ რუსულს. ფეხსაცმელი გიჟერდეს გირჩევნია ამის მოსმენას.

— იაბლოკი ხოჩიტ!.. — ეპატიჟებოდა ვიღაც მანდილოსანს 25 წლის ჯანღონით სავსე, გორის რაიონის სოფელ ნიქოზიდან წამოსული ჯიმშერ ბითაძე.

იქვე, შორიახლოს, თბილისში მუკუზნის შესახვევში № 5 მცხოვრები ტარიელ ბეჟლულაშვილი სახელგანთქმულ გორულ ვაშლს უკეთებდა რეკლამას.

ჯიბეში მინდობილობა ჰქონდა, მე, დედამისი ნადია, ვანდობ ჩემს შვილს ვაშლის გაყიდვასო. აფერუმ, ქალო, შენ და ყოჩაღ, ტირძნისის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე საურო, რომ ამ ცნობას ბეჭედი დაჰკარ და ეგ მოხდენილი გვარი მოაწერე, თორემ ეს „დედას ბიჭი“ ხომ ვერ ნახავდა ამ მხარეს!

— ჩვენთან რა გინდათ? — თავიდან მომიშორეს ვაშლის გამყიდველებმა — ჩვენ „მეწვრილმანეები“ ვართ. თქვენ ის იკითხეთ, ბათუმის რაიონის სოფელ კახაბრის მცხოვრებმა სერგო ნინიძემ, გრიგოლ ხავთასმა და სოფელ ხელვაჩაურის მკვიდრმა ჰაიდარ ჯაფარიძემ 20 ტონა მანდარინი და ფორთოხალი რომ გამოგზავნეს აქეთ!

ჩემს აღშფოთებას, გაკვირვებას, სირცხვილს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ როცა შევიტყე, რომ დაფნით ვაჭრობა ქ. შახტის ბაზარში აიკრძალაო, სიხარულით ცას ვეწიე.

გავვარდი ბაზარში და რას ვხედავ!... დახლზე არც ერთი მოვაჭრე. ამ დროს უხმოდ გვერდით ვიღაც ამეტუზა, ტუჩები დამბლადაცემულივით მოღრიცა და წამჩურჩულა:

— ლავროვი ლისტ ჟელაიტე?..

მალე მივხვდი ყველაფერს. დაფნოსნები „იატაქვეშ“ გადასულიყვნენ და კონსპირაციული ხერხიც გამოენახათ. უყიდიათ სქელი ყდიანი საბავშვო წიგნები „ბოლშიე ოგნი“, ფურცლები ამოუხევიათ, ყდაში დაფნა ჩაუწყვიათ და ახლა ასე სწავლამოწყურებულებივით იღლიაში წიგნებით დამხვდნენ!

...რატომ ხდება ასე, რატომ?

ვინ ეხმარება ამ ხალხს? ვინ აძლევს მათ უფლებას შეარცხვინონ მთელი ჩვენი ხალხი?

...იმ საღამოს ჩემი თვალით ვნახე, რესტორანში ისხდნენ და საქართველოს სადღეგრძელოს ფეხზე ადგომით სვამდნენ... დაფნოსანი წურბელები!

**ვ. გოზალიშვილი.**



ჩინეთი. ბრინჯის პლანტაციაში.

## სსრ კავშირის თასზე

„ა“ და „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას სსრ კავშირის თასისათვის. ჩატარებულია მატჩების თვალსაჩინო ნაწილი, გამოვლინდა მეთექვსმეტედ და მერვედ ფინალის მონაწილენი.

უკანასკნელ მატჩებში „ა“ კლასიდან გამოდიოდა მინსკის „ბელარუსი“. იგი შეხვდა „ბ“ კლასის გუნდს — ჩერეპოვეცის „მეტალურგს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. მეთექვსმეტედფინალში „ბელარუსი“ ითამაშებს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ.

ოსტატთა გუნდებიდან გამოვლინდა პირველი მერვედფინალისტი. ეს არის „ბ“ კლასის გუნდი — სტალინოგორსკის „შახტიორი“, რომელმაც ანგარიშით 5:1 დაამარცხა სტალინაბადის „ენერგეტიკი“.

როგორც ვიუწყებოდით, ჩერკასის „კოლგოსპნიკმა“ ქუთაისში დაამარცხა ადგილობრივი „ტორპედო“ 1:0 და მეთექვსმეტედფინალში გავიდა, სადაც შეხვდება ლენინგრადის „ზენიტისა“ და უფას „სტროიტელის“ გუნდებს შორის გამარჯვებულს.

თასის გათამაშებიდან გამოვიდა აგრეთვე ბათუმის „დინამო“, რომელმაც წააგო (1:2) მატჩი პავლოვოს „ტორპედოსთან“. ეს უკანასკნელი მეთექვსმეტედფინალში შეხვდება გორკის „რაკეტას“.

### ფრენბურთის ბადესთან

**ᲢᲣᲚᲐᲡᲐ** და ლენინგრადში დაიწყო „ა“ კლასის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა იმ კოლექტივების მეორე წრის შეხვედრები, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატში 1-8 ადგილებისათვის იბრძვიან.

ტულაში გამოდიან ვაჟთა გუნდები. წარმატებით იბრძვის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, რომელსაც ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია და ცხრა ქულა აქვს. ლიდერის— ცსკა-სა და თბილისის „ბურევესტნიკის“ მატჩი დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით 3:1.

21 ივლისს დედაქალაქის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდმა მოუგო ლენინგრადის სკა-ს ანგარიშით 3:1. ამავე დღეს ლენინგრადში ოდესის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდმა დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ 3:1. ქალთა გუნდებს შორის ლიდერობას ინარჩუნებენ ოდესელი ფრენბურთელები.

### უკანასკნელ საათს

**ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲨᲘ** გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში სტუდენტთა შორის. აქ ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები არიან სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. დღემდე გათამაშდა 5 ტური. ლიდერობას კვლავ საბჭოთა გუნდი ინარჩუნებს, რომელსაც 18 ქულა აქვს. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს 14,5 ქულით გათამაშების ცხრილში მეორე ადგილი უკავია. მესამე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი.

**ᲒᲣᲨᲘᲜ** მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალური მატჩი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. როგორც ცნობილია პირველი შეხვედრა რიგაში ადგილობრივ სკა-სა და ცსკა-ს გუნდებს შორის დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით. გუშინ ამ გუნდების მეორე მატჩში გაიმარჯვეს რიგელებმა ანგარიშით 66:61. მიუხედავად ამ დამარცხებისა, ცსკა-მ, რომელსაც ქულების უკეთესი შეფარდება აქვს, მოიპოვა საერთო გამარჯვება და მასთან ერთად თასი.

## მსოფლიოს ჩემპიონი ვარჯიშობს

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში — ბრაზილიის ნაკრები გუნდი გაცხოველებით ემზადება მომავალი საერთაშორისო შეხვედრებისათვის, პირველ რიგში სამხრეთ ამერიკის ტრადიციული ჩემპიონატისათვის. ბრაზილიელებმა თავის მოედანზე რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანის“ სტადიონზე მიიღეს პარაგვაის ნაკრები. მწვრთნელმა აიმორე მორეირამ მოედანზე გამოიყვანა საექსპერიმენტო შემადგენლობა: ჟილმარი, ჯალმა სანტოსი, ვალდემარი, არი, ზეკინია, ჟადირი, ჟოელი, ჩინეზინიო, ჰენრიკე, დიდა, ბაბა. ამ შემადგენლობიდან შვეციაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში თამაშობდა მხოლოდ ოთხი მოთამაშე: მეკარე ჟილმარი, მარჯვენა მცველი ჯალმა სანტოსი, მარჯვენა გარემარბი ჟოელი და მარცხენა შუამარბი დიდა.

პარაგვაელებმა მსოფლიოს ჩემპიონს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ პირველ ტაიმში გახსნეს ანგარიში, მაგრამ შემდეგ ჟოელმა (№ 7), დიდამ (№ 10) და ცენტრფორვარდმა ჰენრიკემ სამი გოლი გაიტანეს, ხოლო თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე პარაგვაელმა პაროდიმ კიდევ ერთი ბურთი. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა 3:2. ბრაზილიელთა ამ უფერულ მოგებას მიმომხილველები იმით ხსნიან, რომ გუნდს აკლდნენ ევროპაში მყოფი დიდი, ზაგალო, ნილტონ სანტოსი („ბოტაფოგი“), პელე, პეპე, კუტინიო, ზიტო („სანტოსი“), ბელინი („ვასკო და გამა“), ვალდო („ფლუმინენზე“) და სხვა გამოჩენილი ფეხბურთელები.

## ჭრელი ფაქტები

### სერიოზული პასუხი

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ** ერთ-ერთი პროფესიული კლუბის მოთამაშე ჩარლზ სვიტი გახარებული იყო — უძველესი საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ საშობაო საჩუქრად გამოუგზავნა პირი ახალი ხელსაყრელი კონტრაქტისა, რომლის მიხედვით მას გაუდიდეს ჯამაგირი და დანიშნეს კაპიტნად — მაგრამ მემანქანეს შეცდომა დაეშვა, ნაცვლად 1960 წლის 1 იანვრისა პირზე ეწერა „1660 წლის 1 იანვრიდან“.

საშობაო საღამოზე ჩარლზს აუტყდნენ და ურჩიეს დაეწერა თხოვნა გადაეხადათ მისთვის მთელი კუთვნილი თანხა 1660 წლიდან, ჩარლზმა გაგზავნა ასეთი წერილი და ერთი კვირის შემდეგ მიიღო ოფიციალური პასუხი:

„თქვენი თხოვნა მიღებულია მხედველობაში. მართალი ხართ, რომ მოითხოვეთ თქვენთვის განკუთვნილი თანხა. 300 წლის მანძილზე თქვენ გერგებათ 300.000 გირვანქა სტერლინგი, მაგრამ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 1682 წლიდან გუნდის კაპიტანი მატერიალურად პასუხისმგებელია დაკარგული და გამსკდარი ბურთებისათვის, ამიტომ თქვენ, როგორც ყველაზე უხნესი და ამჟამად ცოცხალი კაპიტანი, ვალდებული ხართ დაფაროთ კლუბის დანაკარგი 300.002 გირვანქა სტერლინგი. კლუბის ხელმძღვანელობა მადლობელი იქნება, თუ დაფარავთ ვალს — 2 გირვანქა სტერლინგს“...

### სახიფათო კოცნა

**ᲪᲜᲝᲑᲘᲚ** ფორვარდს დიდის, რომელსაც „ბრაზილიის თვალმარგალიტს“ უწოდებენ, მსოფლიო ჩემპიონატიდან შინ დაბრუნებისას ცოლმა გრანდიოზული სკანდალი მოუწყო. მიზეზი ის იყო, რომ მან გაზეთში ნახა სურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო გუნდის გამგზავრება შვეციიდან და კოცნა, რომლითაც დააჯილდოვა ფორვარდი იქაურმა „სილამაზის დედოფალმა“. დიდი ყოველნაირად ცდილობდა დაემშვიდებინა აღშფოთებული მეუღლე, მაგრამ უშედეგოდ. ოჯახური მყუდროების აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა დიდიმ მისწერა კლუბის ხელმძღვანელობას, რომ შემდეგში საკოცნელად გამოეყოთ მამაკაცები.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

**28 ივლისი**

12.00 — გადაცემები მოსწავლეთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“; 12.15 — მხატვრული ფილმი „ორი კაპიტანი“; 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის; 18.20 — საუბარი — „ვაჟაფშაველას იურიდიული საქმიანობა“; 18.35 — რეპორტაჟი ქარელის რაიონიდან; 19.15 — გადაცემა — „რა შემოგვინახა ქართულმა დოკუმენტურმა კინომატიანემ; 19.45 — გადაცემა — „ვაჟას ჩანგი“; 20.35 — მხატვრული ფილმი — „იდიოტი“.

კომუნისტი სპორტი

ჟე 01080 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.